

ଶରୀରକାନ୍ତରେ

M12

M12

୩୦୬୦୪୦

1932



Mkedari

შაროვალ მხედართა ორგანო

Organe des Militaires Géorgiennes //

რვეული მეთოდები

პარიზი, სექტემბერი, 1932 წ.

PARIS

1932

რედაქციისაგან

ჩვენგან დამოუკიდებელი სხვა და სხვა მიზეზის გამო „მხედარის“ ვა-
მოსვლა დღემდე შეჩერებული იყო. ყველასათვის ნათელია, თუ რა მნი-
შვნელოვანია ჩვენს მდგომარეობაში მხედრული ხასიათის ბეჭდვითი
ორგანოს არსებობა. ჩვენც ამ მნიშვნელობის შეგნებით ჩვენი ძალების
და მიზედვით ვცდილობთ და ვეცდებით მივანიჭოთ „მხედარს“ სათანა-
დო ადგილი ჩვენს არა მარტო ემიგრანტულ ცხოვრებაში, არამედ ქარ-
თულ სამხედრო საქმის განვითარებაშიც.

დღეს საბედნიეროდ დაძლეულია ყველა დაბრკოლება და თქვენ წინ
იშლება განახლებული და გაძლიერებული „მხედარი“. დღეიდან გაორ-
კეცებული სურვილებით და იმედებით ვაგრძელებთ დიდი ხნის დაწყე-
ბულ შუშაობას, რომელიც პირველი შეხედვით იქნებ უმნიშვნელო და
მცირედ მოქმედნოს ჩვენს ქართულ მასას, მაგრამ რომელიც, ჩვენა
ლრმა რწმენით, მერმისს გამოიღებს მოულოდნელ და სასურველ ნაყოფს.

ამ იმედებით გატაცებულნი, კვლავ მივმართავთ ყოველ ქართველ
მხედარს, ეცადოს შემოიტანოს თავისი შვლილი ამ მუშაობაში, დაგვე-
ხმაროს ყოველნაირად ამ საქმის ვაგრძელებაში. ეს არ არის პიროვნუ-
ლი საქმე, არც რომელიმე ჯგუფის. ეს არის ქართული საქმე, ქართვე-
ლი ერის სამსახურის ერთ-ერთი სახე. ამ მუშაობისაკენ, ამ საქმიანობი-
საკენ მოვუწოდებთ ყოველ მხედარს და სრულს იმედს გამოვსთქვამთ,
რომ განმარტოებული არ დავრჩებით.

ყოველი ერთი თავის შეგნებასა და თავმოყვარეობას ე. ი. მთელ თავის ლიტერატურას ამყარებს თავის წარსულზე. თავის ისტორიაზე, მაგრამ ისტორიას ამ ზნეობრივი აღზრდის გარდა აქვს კიდევ სხვა რეალური მნი-შვნელობაც.

ყოველი ერთი განვითარება, როგორც ზნეობრივი, აგრეოვე ფიზიკური და პოლიტიკური, დამყარებულია ბუნების წესებზე, რომელიც აძა-თუ იმ ერთი მიერ დაკავებული ტერიტორიალური სივრცისათვის უც-ლელი არიან. აი, ამ წესების ჩამოსაყალიბებლად და მათ საღ ნიადაგზე მკვიდრი მომავალის ასაშენებლად, აუცილებელია ერთი წარსულის და-წვრილებითი შესწავლა და ცნობა. უფრო დიდი და უაპელაციო მნი-შვნელობა აქვს ისტორიას სამხედრო ხელოვნების განვითარებისათვის.

ეს მოვლენა ყოველი თაობისათვის ჰქმნის მოვალეობას: პირველი: — შესწავლა ერთი ისტორიისა, მეორე — გადაცემა ისტორიისათვის თავი. სი არსებობის შინაარსისა. ამ მხრივ საქართველოს დღევანდელ თაობას დიდი მოვალეობა აწევს: — უნდა გადავცეთ ერთი ისტორიას ის, რის მოწმენიც და ავტორიც ვიყავით. რამაც კავკასიონის მკერდზე საშინე-ლების გრიგორიად გადაიარა.

დღეს იქ, კავკასიონის განგმირულ მკერდზე მოსკოვის ჯალათთა სი სხლიანი ხელით იწერება ისტორიის ის ნაწილი, რომელიც ერს ზრდის მძიმე ტკივილებში. ზრდის მას მტრის ხელში. მაგრამ ზრდის მტკი-ცედ და ჰქმნის ერთი მომავალისათვის ზნეობრივ განძს. მაგრამ აქ ჩვენ-თვის არაფერი ახალი არ იქმნება. ეს მხოლოდ მოსკოვის მიერ თავის 1921 წლის გამარჯვების გამოყენებაა, ეს მხოლოდ მის მიერ კავკასიო-დან ნაღავლის და სისხლის ბეგარის გატანაა. — ეს საქართველოსათვის განმეორებაა არა პირველად წაგებული ომის მძიმე შედეგებისა; ეს ჩვე-ულებრივი სისხლიანი პოთენცია დამარცხებისა; ეს განმეორებაა თე-მურ-ლანგის, მურმან ყრუს. შახ-აბაზის და ალა-მაჭმად-ხანის მძვინვა-რებისა. აქ ჩვენთვის არ იქმნება არაფერი ახალი. ეს ნაწილი ისტორი-ისა ვერ მოგვცემს იმას, რაც ჩვენ დღეს გვპირდება. ვერ მოგვცემს ის-ტორიულ გამოცდილებაზე დამყარებულ რეალურ ხელმძღვანელობას. იმ ბრძოლისათვის, რომელიც ააცილებს თავიდან ჩვენ ერს დღევანდე? მდგომარეობის-დაგვარ შედეგებს.

საქართველოს მეთვრამეტე, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის მთელი ისტორია ამგვარი გამოცდილების თვალსაზრისით სულ ორი თარიღით ამოიწურება.

პირველი ის დღეა, როდესაც საქართველოს პირისპირ მოუხდა თავის საბოლოო ანგარიშების გასწორება აღმოსავლეთან, რომელიც ისტორიაშ აღ-მავმად-ხანის სისხლიან სილუეტს ამოაფარა და კრწანისის ბრძოლა და ტფილისის ტრალედია დაარქვა.

მეორე — ეს ჩევნი დამოუკიდებელი არსებობის სამი წელია და განსაკუთრებით უკანასკნელი ომი, როდესაც ჯერ ისევ პეტრე დიდის მიერ აღებული რუსეთის ეროვნული პოლიტიკური ხაზი, რომელსაც რომანოვების დინასტია ამიერ-კავკასიაში საქართველოს მოკავშირის ნიღაბით ატარებდა, იარაღით ხელში გვიკარნახა ამ ერის უკვე წითელმა სარდალმა გვეკრმა.

ამ ორი თარიღის გარდა, მთელი დანარჩენი ნაწილი საქართველოს ახალი ისტორიისა ეს მხოლოდ მომზადებაა ამ ორი ეპოქური მოკლენისა.

კრწანისის ბრძოლა — ეს მოუშავება და გამოყენებაა საქართველოს მიერ თავისი ნამდვილი დამოუკიდებელი არსებობის მოსაპოებლად, მთელი იმ ფიზიკური და ზნეობრვი ღრებულობის, რის გადარჩენა და დაგროვებაც კი მოახერხა ერმა თამარის შემდეგ ამ ხანის განუწყვეტილი ბრძოლის ქარცეცხლიდან და მონობის გაებიდან.

ვერ გამოვიყენეთ ბრძოლის ყველა საშუალება და დავმარტინოთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა და უკანასკნელი ომი — ეს გამოცდა იყო ერის შემძლებლობისა და აღზრდის, რომელიც საქართველომ მოიპოვა კრწანისის ბრძოლის შემდეგ. აქაც დავმარტინოთ იმის მიუხედავად, რომ გვქონდა ბრძოლის მოვების ყველა შანსი.

აი ეს ფაკტები, რომლის მოწმეც არის უკანასკნელი თაობა ჩვენი ერისა, წარმოადგენენ მის განძს და უნდა გადაეცეს მას.

„მხედარის“ რედაქცია სიამაყით დაეხმარება ყოველ ქართველს თავის ამ მოვალეობის შესრულებაში ერის წინაშე და სიამოვნებით დაუთმობს ალაგს ყოველ ისტორიული ღირებულების მოვონებებს. ამ შეგნებით გვსურს შევუდგეთ ისტორიულ მოვონებათა ბეჭდვას და ვთხოვთ ყოველ ქართველ ემიგრანტს, გადმოგვცეს თავისი მოვონებანი საქართველოს დამოუკიდებლობის ხანიდან.

ვიცით, რომ ძნელია ისტორიული ფაკტების შეხება მაშინ, როდესაც ამ ფაკტების ავტორი ჯერ ისევ ცხოვრების სარბიელზე სდგანან, მაგრამ გვრწამს ჩვენი ემიგრაციის ეროვნული შეგნება და მომზადება; გვრწამს, რომ აუქცევს ივი გვერდს ყოველ სიძნელეს და მოახერხებს დღევანდელ წყლულთა შეუხებლივ, გადასცეს ისტორიას ფაკტები, რო-

შეღიც ახლო მომავალში შეიძლება სამუდამოდ დაიკარგონ ისტორიის სათვის.

არ გვაინტერესებს არავისი ბრალდება, გამართლება და საერთოდ, გა-
სამართლება. ეს მხოლოდ მომავალი ისტორიის როლია. გვსურს მხო-
ლოდ გადავცეთ ისტორიას უცვლელი ფაქტები უშუალო წყაროდან;
ამიტომ ვთხოვთ ყოველ ქართველს. მისი პირადი შეხედულების განუ-
რჩევლად, გადმოგვცეს თავისი მოგონებანი იმ სახით, როგორაც ავტო-
რი ხედავდა ფაქტებს სახელმწიფოებრივი იერარქიის იმ საფეხურიდან,
რომელიც მას ეკავა ჩვენი ერის ცხოვრებაში.



† კაპიტანი დავით გაჭავარიანი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 23—7—32 წ. ქ. ვილნოში გარდა უცვალა კაპიტანი დავით მაჭავარიანი.

განსვენებული დაიბადა ქ. ტფილისში, 1892 წლის მაისს. ვლადიკავკაზიური კადეტთა კორპუსის გათავების შემდეგ ასრულებს მოსკოვის სამხედრო სასწავლებელს და 1911 წლიდან მსახურობს ოჯიცრის ხარისხით. მოკლე ხანში აღწევს პოდპოლკოვნიკის იარისხს. დამოუკიდებელ საქართველოში პირველ დღიდანვე ასრულებს სხვადასხვა თანამდებობას და ბოლოს. როგორც მაიორი მივლინებულია სამხედრო სასწავლებელში გუნდის უფროსის თანამდებობაზე.

იუნკერთა სკოლასთან ერთად გადის იგი ტაბახმელაზე. თავისი სიმამკით, ვაჟკაცობითა და თავისგანწირვით იმსახურებს საერთო პატივით ცემას და სიყვარულს; კეთილი თვისებების წყალობით კი ხდება იუნკერებისათვის ძვირფას მეგობრად და ამხანაგად..

წაგებული ომის შემდეგ, იზიარებს გადარჩენილ იუნკერთა ბეჭდს და იმის მიუხედავად, რომ სახლში რჩება ახალგაზრდა ცოლი და შვილი, გამოდის საზღვარგარედ.

პოლონეთში, თავისი პირადი ღირსებითა და ქცევით, და სამსახურით მიჩნეულია სამაგალითო ოფიცრად და მალლა სწევს უცხოელთა თვალში ქართველი მხედრის სახელს.

დაკრძალულ იქმნა ქ. ვილნოში სამხედრო პატივითა და წესით. განსვენებას დაესწრო მრავალი პირადი მეგობარი-ნაცნობი და საქართველოს კულტურული ტკივარნი.

განსვენებულის პატივსაცემად მირთმეული იყო გვირგვინები სხვა და სხვა წარწერით: ქართველ მხედრებისაგან, ქართული კომიტეტისაგან, სომხური და უკრაინული კოლონიებისაგან, პირველი დივ. შტაბისაგან, პირველ და მეხუთე პოლკთა ოფიცერ-ნაცვლებისაგან, ტულუშის ოჯახისაგან და სხვა.

სამარესთან უკანასკნელი გამოსამშვიდებელი სიტყვებით მიმართეს პოლონურ და ქართულ ენაზე უფროსმა ამხანაგებმა.

მისი დაკარგვით საქართველოსათვის თავგანწირულ მხედართა ოჯახს მოაკლდა ფასდაუდებელი მებრძოლი.

**

ქ. ვილნოში გარდაიცვალა საქართველოს სამხედრო სკოლის კაპიტანი დავით მაჭავარიანი.

განსვენებული 1911 წლიდან მსახურობს რუსეთის ჯარში, დასავ-

ლეთის ფრონტზე და იქ არა ერთხელ იქმნა აღნიშნული ,როგორც ლა ჩასული ოციცერი.

1918 წლიდან იმყოფება საქართველოში და მონაწილეობს საქართველოს მიერ წარმოებულ ყველა კომპანიაში.

1921 წლის 23 თებერვლიდან უფროსობს იუნკერთა ქვეითი ასეული და ამ დღიდან იმყოფება სკოლაში, ვიდრე ოსმალეთში გახიზენამდე.

ესე გამოიყურება ეს სიცოცხლე, უსულო რიცხვთა ჩარჩოებში; სიცოცხლე, რომელიც როგორც წყლის ერთი წვეთი, მთელი სიმწვავით და სიზუსტით განასახიერებს ჩვენი ერის მრავალ - საუკუნოებრივ, უკვე ტრადიციულად ქცეულ ტრალედიას...

გაიარა მძიმე და ხანგრძლივი ვაება 4 წლის უცხო ჯარში ბრძოლისა სევდიან ჩრდილოეთში.

იბრძოდა ამიერკავკასიის მკერდზე და არ მოჰკლებია არც ბრძოლის უამსა სამშობლოს საზღვრების სისხლით მოხაზვისა.

ყველგან ზოგავდა მას სიკვდილი, არ ინდობდა მხოლოდ ცხოვრება..

1921 წლის 23 თებერვალს, ღამე, როდესაც განგება მოხუც ტფილის უწყალოდ უშლიდა ახალი ტრალედის ფურცლებს, ტაბახმელას აღმოსავლეთით, უკვე უოფიცრებოდა იბრძოდა იუნკერთა განცალკევებული მწყობრი, თითქოს უკვე ყველას მიერ მივიწყებული. აი, აქ გამოჩნდა პირველად კაპიტანი მაჭავარიანი ჩვენს შორის. და აი, თებერვლის ბურუსიან ღამეს, ამ სიკვდილის ორგის სარეცელზე დაიბადა ის მძლავრი ნდობა და სიყვარული ჩვენს შორის, რომლის ძლიერებასაც ბრძოლის ქარცეცხლი იტაცებს უზენაეს სიმაღლემდე და უკვდავებას აღასტურებს სიკვდილის ცივი ფრთხის შრიალი...

დანარჩენი სიცოცხლე დალია სამშობლოდან შორს, უცხოეთში, ოსმალეთში და შემდეგ პოლონეთში, მოწყვეტილმა ახალგაზრდა ოჯახს.

უწყალო განგებამ არ აღირსა მას ბედნიერება სამშობლოს მკერდზე მიძინებისა, და არც უცხოეთში უზოგავდა ნელ და მუდმივ ტალღებს ულმობელი სევდისა.

დღეს ვერაგმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს კიდევ ერთი მებრძოლი მოაკლო და ძველი ქართველისათვის ტრადიციული ტრალედით გადაკვეთა ეს სიცოცხლე, ისე როგორც არა ერთ სამშობლოსათვის წამებულ საკუთარ კერას მოწყვეტილი ქართველის სიცოცხლე, შორს უცხოთა შორის, სპარსეთში, ოსმალეთში ან რუსეთში.

დღეს, შენს განმარტოვებულ საფლავს ტყვიის ცრემლებით დასტირის

ჩრდილოეთის ნისლიანი ცა, მაგრამ თუ ერთ ჩვენთაგანს მაინც ეღიონა
სამშობლოს ველზე ბრძოლის ბედნიერება, შენი აჩრდილიც იქ იქნება
და შენს სევდით მოღალულ ცხოვრებიდან განსცენებისას ვერ მოგმარ-
თავთ სხვაგვარად, თუ არ ძველ ქართველ მეომარის ბრძოლის ველზე
გამომშვიდების სიტყვით:

გამარჯვებით ძვირფასო მეგობარო!

ეკონომიკური ქალების მიზანები

როგორიცაა სამიზანოები

საერთო შენიშვნები. ყველა ხალხის ცხოვრებაში ეკონომიურ საკითხებს თვალსაჩინო ალაგი უკავიათ, არამც თუ მათ შინაურ მდგომარეობაში, არამედ საერთაშორისო პოლიტიკაშიაც. ეკონომიური საკითხი შეიქმნა უმთავრეს საკითხად, რომლის ირგვლივ ყველა სხვა საკითხი ტრიალებს. ომის გამოცდილებამ წამოაყენა საკითხი ყოველმხრივი და დაწვრილებითი მომზადება მობილიზაციისა, ეკონომიური ძალებისა; მან დაამტკიცა, რომ ეკონომიური ძალები თამაშობენ უმთავრეს როლს ომის მოგებაში.

ყველა სახელმწიფოში ეს რწმენა მიღებულია, როგორც ჭრიალი როგორც ჭრიალი და ამ დაკტზე ლაპარაკს ზეღმეტად სთვლიან. დღევანდელი ომები, რომლებსაც აწარმოებენ მრავალ - მილიონიანი ერები, მოითხოვენ აუარებელ ტეხნიკურ მასალას, რაზეც დღემდე წარმოდგენაც არ ჰქონდათ და აგრეთვე ომისათვის მთელი ეკონომიური ძალების მობილიზაციისაც. მობილიზაციის გამოცხადებით სახელმწიფო არ უნდა ჩავარდეს თავიდანვე კრიტიკულ მდგომარეობაში, რომლის გამოკეთება შემდეგ ძნელია. გეგმა მეურნეობის მობილიზაციისა არის ეხლანდელ დროში საძირკველი საოპერაციო მომქმედ გეგმისა. მებრძოლი ელემენტი, მისი ტყვია-წამალი, ზარბაზნები და გაზები — ვერ უშველის ერს, თუ მათ გვერდით არა აქვს ხორბალით სავსე ტომრები. მშვენივრად შემუშავე-

ბული სტრატეგიული მანევრების ჩატარება შეუძლებელია, თუ რესურსების გზას ნახშირი ან ავიაციას და ავტომობილს ბენზინი დააკლდა. ამის მაგალითია გერმანია, რომელსაც ჰყავდა შესანიშნავად მოწყობილი და გაწრთვნილი ჯარი, მცოდნე სარდლობა, მაგრამ მათ ვერ უშველეს გერმანიის ერს და როდესაც დადგა საკონტი გამარჯვებისა, იმის მიუხედავად, რომ გერმანული ჯარი მშვენიერად იბრძოდა, მმი წააგო. მიზეზი ამისა იყო შიმშილობა. ტომსიკამ აჯობა ხმალს, მძლავრმა ორგანიზმმა მოახდინა კაპიტულაცია კუჭის წინაშე. ამიტომაც ეკონომიური ძალების მობილიზაციის მომზადება უნდა იქმნეს დაყენებული სამხედრო ძალების მობილიზაციის გვერდით. თანამედროვე სახელმწიფონი ვალდებულნი არიან მიიღონ ყოველი ზომა. რათა ომიანობის დროს აუარებელი მოთხოვნილებანი დაფარული იყოს თვით სახელმწიფოში დაგროვილი და გარდაქმნილი მასალებით. სათანადო ორგანოების მოვალეობას შეადგენს უმაღლეს წერტილამდე იყვანონ ყოველი ეკონომიური დარგის განვითარება და ეს ხალხის სიმდირე გამოიყენონ მმის საწარმოებლად. ამასთანავე ეკონომიური ცხოვრება ჩაყენებულ უნდა იქნეს ახალ კალაპოტში, სამხედრო მოთხოვნილებათა თანახმად, იმის მიუხედავათაც, თუ იგი ხანდახან ეკონომიურ უფლებებსაც კი ეწინააღმდეგება.

ამ ახალ ეკონომიურ მოთხოვნილებებს უმთავრეს მიზნად უნდა ექნეა:

- სახელმწიფოებრივი სიმდიდრის გამრავლება, ყოველ-მხრივ მისი უაღრესად განვითარება და აგრეთვე მისი გამოყენება ომიანობის დროს.
- ცდა ყოველივე დარგში ეკონომიური დამოუკიდებლობისა ანუ თვით-დაკმაყოფილების პრინციპის გატარებისა.

საქართველოს ეკონომიური დახასიათება და მომავალში მისი თვითდაკმაყოფილების საპირო დაკითხვის საპირო დაკითხვის

უპირველესად ყოვლისა საჭიროა გავიცნოთ საქართველოს ეკონომიური მხარე. ამისათვის გადავათვალიეროთ, შეძლების-და-გვარად, მისი ეკონომიური მდგომარეობა და ვნახოთ რა შესაძლებლობა გვაქვს განვითარებაში.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მიწათმოქმედებას მისდევს. ბუნებრივი პირობების მიხედვით, მცხოვრებნი ზოგგან ხორბლეულებას აშენებენ, ზოგგან ბაღებს და ტეხნიკურ მცენარეთ, და მიუხე-



დავათ იმისა, რომ საქართველოს დიდი ბუნებრივი სიმდიდრე მოეცილოს, ება, მისი ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ დაჭვეითებულია. ამ ჩამო-ქვეითებას აქვს თავისი ისტორია. სადაც დიდი აღგილი უკავია იმ პო-ლიტიკას. რომელსაც რუსეთი ჩვენში აწარმოებდა. ცნობილია, რომ სამრეწველო განვითარებას მეფის მთავრობა აფერხებდა ჩვენში, რათა შიგნითა ცენტრალური რუსეთის მრეწველობა აეწია და ამით კავკასია რუსეთის ეკონომიურ დამოკიდებულებაში ჩაევდო. მართლაც, ბუნე-ბრივი სიმდიდრე ამიერ-კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოსა, იძლეოდა გარანტიას მრავალ-გვარ მრეწველობის განვითარებისათვის. რომელიც გამოაცლიდა ხელიდან რუსეთს ბევრ ბაზრებს თვით რუსეთ-ში, — და აგრეთვე მისი გეოგრაფიული მდგომარეობა აძლევდა მას ადვილ საშუალებას წყლით გაზიდა თავისი საქონელი და ყველა ქვე-ყნიდან წყლითვე მიეღო საჭირო საქონელი. მართალია, 79.6 პროცენტ ცხოვრობს სოფლად, რომლიდანაც 94-95 პროც. მისდევს სოფლის მე-ურნეობას, მაგრამ საქართველოს აქვს ბუნებრივი სიმდიდრე, როგორც შავი-ქვა, ქვანახშირი, ტორფი, ნავთი, რკინა, სპილენძი, სალიტოგრა-ფიო ქვა და სხვა მაღნეულობა. ყველა ეს სიმდიდრე იმის დამამტკიცი-ბელია, რომ საქართველო მომავალში შესძლებს თავისი მრეწველობის უალრესად განვითარებას, მოიპოვებს ბევრ ევროპიულ და აზიის ბაზ-რებს და ამასთანავე შესძლებს თავისი ყოველგვარი შინაური მოთხოვ-ნილება თვითონვე დაიკამაყოფილოს, ცოტაოდენი გამონაკლისით, რა-საც სამხედრო თავალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

დიდი მნიშვნელობა აქვს და სასიქადულო მომავალიც მოელის ქიმი-ურ მრეწველობას საქართველოში, რომლის შექმნას და განვითარებას ხელს შეუწყობს ნახშირი, ნავთი, გოგირდი, რომელიც უხვად მოიპოვ-ბა ჩვენში.

საჭიროა ტყავის მრეწველობის აწევა, რომელიც დაბალ საფეხურზე სდგის.

თვითდაკმაყოფილების ცდა ნიშნავს ერთ და იმავე დროს ყოველ მხრივად შემომქმედ ძალთა განვითარების ცდას, უმეტეს ნაწილად იმ დარგებში, რომელნიც აუცილებლად საჭირო არიან, რათა სახელმწი-ფომ, რომელიც მოწყვეტილი იქნება სხვა ქვეყნებიდან, ომიანობის დროს შესძლოს არსებობა და მით უმეტეს, ომიდან გამარჯვებით გამო-სვლა.

ქვეყანა, რომელსაც არა აქვს თავისი სურსათი, ნახშირი, ნავთი, თა-

ვისი სამხედრო მრეწველობა (იარაღი, ამუნიცია, აეროპლანები, გაზე-ბი და სხვა) და ამ მრეწველობისათვის საჭირო ნადლი მასალა, იმყოფება მუდმივ განსაკუდელში და შიშში, და ომიანობის დროს, შეიძლება მასზე ბევრად უფრო სუსტ სახელმწიფოს ემსხვერპლოს.

თვითდაკმაყოფილების თვისებანი არ ნიშნავენ იმას, რომ რომელიმე ერი სრულებით იქმნეს სხვა ქვეყნებიდან მოწყვეტილი და მათთან კავშირი არა ჰქონდეს. დღევანდელ პირობებში სახელმწიფოები ისე გადახლათული არიან ერთმანეთშე ეკონომიურად და პოლიტიკურად, რომ ამაზედ ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ ყოველი ერი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება, თავისი ძალებით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი და იმ შემთხვევაში, თუ ომიანობის დროს, სხვა ქვეყნებს იქმნა მოწყვეტილი, ისე უნდა ჰქონდეს განვითარებული ეკონომიური მდგომარეობა, რომ, რაც შეიძლება, მეტ ხანს შესძლოს თავისი საკუთარი ძალებით არსებობა.

ბამბის და სელის წარმოება უნდა იქმნეს განვითარებული; ამას ჩვენი ბუნება ხელს უწყობს.

მეცხვარეობას, რომელიც ჩვენში გვარიანად იყო დაყენებული და უკანასკნელ ხანში ძლიერ შესუსტდა, უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და უმეტეს ნაწილად გავაშენოთ ჯიშიანი ცხვრები, რომლებიც მაღალსარისხოვან მატყლს იძლევიან. ამას ჩვენი ჰავა და ბალახი ხელს უწყობს.

საქართველოს შეუძლია მიწათმოქმედება ისე ასწიოს, რომ საკმარისი სურსათი ექნება.

მისი მინერალური სიმდიდრის და ტყეთა სამუალებით შესძლებს იგი თვითდაკმაყოფილების საკითხის მოწესრიგებას.

რასაკვირველია, საჭიროა დრო და ხანი და დიდი ენერგია. შრომა და კაპიტალი ყველა ამოცანის შესასრულებლად. ამას გარდა, მომავალში, თუ კავკასიის ერებს შორის მოხდა სოლიდარობა და კონფედერაციის იდეამ გაიმარჯვა და ბოლოსდაბოლოს დარწმუნდენ კავკასიის ერები იმაში, რომ მათივე ინტერესები მოითხოვს ამას, — კავკასიის სტრატეგიული - გეოგრაფიული მდგომარეობაც ძლიერ შეუწყობს ხელს ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველო ბუნებრივი სიმდიდრის მხრივ იმყოფება ძლიერ კარგ მდგომარეობაში და ამ სიმდიდრის გამოყენება კულტურული და ეკონომიური მხარეების უმაღლეს წერტილამდე აღწევასაც ხელს შეუწყობს.

მიწათმოქმედებას. მიწათმოქმედებას უჭირავს ყველა სახელმწიფო უმთავრესი ადგილი ერის თვითდაკმაყოფილების საკითხში. ამ მეურნეობის დარგის წყალობით ყოველი სახელმწიფო აკმაყოფილებს თავისა სურსათის მოთხოვნილებებს. როგორც მაგალითად: ხორბალი, ხორცი, ქნი, კარაქი, კვერცხი, მწვანეულობა, ხეხილი და სხვა, ურომლისოდ არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ილაპარაკოს თვითდაკმაყოფილებაზე. ჩვენი სამშობლო უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. რომელშიდაც მიწათმოქმედებას პირველი ადგილი უჭირავს.

ჩაც შეეხება რესპუბლიკის ტერიტორიის საერთო სივრცეს, პროფ. გეხტმანის ცნობებით, იგი უდრის 72.406.18 კვ. კილომეტრს (ესე ოვა 7.240.400 ჰეკტარს) და შეიძლება იქმნეს გაყოფილი სამ ნაწილად: — დასავლეთი საქართველო აბხაზეთით. აღმოსავლეთი საქართველო სამხრეთ ოსეთით და სამხრეთი საქართველო ე. ი. აჭარა.*)

1926 წ. მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობებით შემდეგნაირად იყო იგი განაწილებული დესეტინებში: — კულტურული მიწა — 1.390.900 დეს. ე. ი. 21.7 პროც. — საძოვარი და საბალახო — 1. 641.200 ე.ი. 25.8 პროც. — ტყე — 2.320.900 ანუ 36.4 პროც. — გამოუყენებელი მიწა — 1.024.500 ე. ი. 16.1 პროც.

მიწის დამუშავების ძლიერ დაქვეითებული წესით აიხსნება ის, რომ მეტად მცირე მოსავალი იცის ჩვენმა მიწამ, და არც აკმაყოფილებს გლეხს, და დიდ პროცენტ თესლსაც მოითხოვს. საშუალოდ რომ ავილოთ, მიწის ძლიერ მცირე ნორმა მოდის თვითეულ მიწის მუშაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის მელიორაციას; ბოლშევიკურმა ხელისუთლებამ მოათავსა თავის ხუთწლიან გეგმაში ამ საკითხის მოწესრიგება;

*) ბ-ნი დიომიდე თოფურიძე თავის „საქართველოს ეკონომიკას საფუძვლებ“-ში აღრიცხავს 71.619.400 კვ. კლ. ამასთანავე აღნიშნავს, რომ სინამდვილეში საქართველოს ტერიტორია 20-30 პროც. მეტი უნდა იყოს, რადგანაც იგი მეტ-შილად მთა-გორიანი ადგილია და ამის გამო სისწორით არ არის გაზომილიო.

აქ აღნიშნავ, რომ ყველა სტატისტიკური ცნობა დამყარებულია: — ბ. გეხტმანის „საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია“; ბ. ჯანაშვილის „საქ ეკონ. გეოგრაფია“ და დ. თოფურიძის „საქ. ეკონომიკის საფუძლები“.



შისი ანგარიშით, ხუთი წლის განმავლებაში უნდა გააფართოონ გისი მიწების სივრცე 265.500 დესეტინით, რომლიდანაც 133.000 დეს. პურეული უნდა დაითესოს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობა ხშირად სახნავს ხელოვნურად რწყავს. დასავლეთ საქართველოში სარწყავი მიწების რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით ნაკლებია. აღმოსავლეთ საქართველოში მიწა უფრო მშრალია, რის გამო ტერიტორიის მეტი სივრცე მოითხოვს რწყავს. დასავლეთ საქართველოში დაბალ აღვილებზე ნიადაგი ზაფხულიაბით აღვილად შერბა. ეს გარემოება ხელს უწყობს მცენარეთა აღმოცენებასა და ზრდას. რის გამო მცხოვრები ვალდებული არიან ხელოვნურ რწყავს მიმართონ და სწორედ ეს აღვილები იძლევა საუკეთესო კულტურულ მცნარეებს. როგორც ბამბა, ბრინჯი, თამბაქო და სხვა. რასაკვირველია, სარწყავა სისტემის მოწყობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს და უმაღლეს წერტილამდე განვითარდეს. რაც ჩვენს გლეხობას საშუალებას მიცემს ინტენსიური მეურნეობის წარმოებაზე გადავიდეს და აგრეთვე გააფართოოს კულტურული მიწების რაოდენობა. დიდ საჭიროებას წარმოადგენს, რომ სახნავ მიდამოებში, სოფლებში გამართული იყოს დიდი ბეღლები, სადაც დაგროვილ უნდა იქმნეს ხორბალი. ეს ბეღლები მოგვცემს ხორბლის დაგროვების საშუალებას, როგორც შინაურულ, აგრეთვე საზღვარგარედ მის გასატანად; იგივე ქმნის კარგ საშუალებას ხორბლის შესანახად, მის გასაწმენდათ და კლასიფიკაციისათვის. ამასთანავე აძლევს სახსარს გლეხობას, რათა საუკეთესო კონიუნკტურის ფასების უცადოს. ხორბალი აღვილად შეიძლება ერთი აღვილიდან მეორეზე იქმნეს გადატანილი, სადაც ხორბლის მეტი მოთხოვნილებაა და ამით ის ქოსი, რომელიც მუდამ ასებობს, მისი ტრანსპორტის დროს, იქმნეს აცდენილი. ვინაიდან უცხოეთის ბაზარზე გადის ჩვენი იმერული სიმილი, საჭიროა, რომელიმე ნაგებადგურთან გამართული იყოს ელევატორები, რომლის დანიშნულება იქნება სიმინდის დაგროვება და ამასთანავე მისი გადარჩევა და კლასიფიკაცია. რასაკვირველია, ამ ელევატორების და ბეღლების მოწყობა უნდა ითავოს ოვით სხელმწიფომ.

ხორბლეულობის რაციონალური შენახვა მოსავლიან წლებში და მით მოუსავლელ წლების მოთხოვნილების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ჯარის მოთხოვნილებების მშვიდობიან დროს უზრუნველყოფა, მობილიზაციის გამოცხადებისათანავე გამოკვების საკითხის მოწესრიგება, ვინაიდან მშვიდობიანობის ხანიდან ომიანობაზე გადასვლის

დროს გამოკვების საკითხს უჭირავს უმთავრესი აღვილი, საზღვარმაც რედ გატანა, რითაც სავაჭრო ბალანსის გაძლიერდება და სხვა — ყველა ეს არის საერთო სახელმწიფო ორგანიზაციის მიზნები, და ამიტომაც თვით სახელმწიფომ უნდა იკისროს ამ საკითხის მოწესრიგება.

საქართველოს კულტურული მიწის უდიდეს ნაწილზე შემდეგ ხორბლეულს სთხოესნ: პური, სიმინდი, ქერი, ეს სამია უმთავრესი. ამას გარდა მოჰყავთ სხვა ხორბლეულობაც, როგორც: ჩალთკუთი (დაუცეხველი ბრინჯი), ლომი, ჭვავი, ასლი, ბურღლული და სხ.

1909-1913 წწ. წლიური საშუალო მოსავალი მთელ საქართველოში ბათომის ოლქის გამონაკლისით, უდრიდა სიმინდის 27.300.000 ფუთს, მის თლქის ჩათვლით — 49.100.000 ფუთს.

1924 წ. მთელი საქართველოს პურეულის მოსავალი უდრიდა 38.908.000 ფუთს, რომლიდანაც შემოდგომისა და გაზაფხულის პურის მოსავალი იყო 4.867.000, ქერი შემოდგომის და გაზაფხულის — 3.140.000 ფ., სიმინდი და სხვა ხორბლეულობა კი 30.900.000 ფუთს. ჩვენი მოთხოვნილება წლიურად უდრის 46 მილიონ ფუთს, საფუსლედ ჩვენ გვჭირდება 5.330.000 ფუთი, საქონლისა და ფრინველებისათვის შესაძლებელია ვივარაულოთ 2.000.000 ფუთამდე, სულ დაახლოვებით — 53-54 მილიონი ფუთი ხორბლეულობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა და საქონელთა გამოკვებისათვის კარტოფელს. ჩვენში მიწა ხელს უწყობს მის გავრცელებას და ეს კარციონალურ მიწის ნაყოფის შეცვლის საშუალებას იძლევა, რაც მიწის მოსავალს ამრავლებს. 1923 წლის სასოფლო მეურნეობის აღწერის ცნობებით, კარტოფელს ეჭირა 4.330 დესეტინა, რაც არ არის საკმარისი და საჭიროა ამ სივრცის გაფართოება.

როგორც ზემოდ ნაჩენებ ციფრებიდან სჩანს, საქართველოს თვის მოსავალი არ ყოფნის და ვალდებულის სხვა ქვეყნებიდან შეავსოს თავისი დანაკლისი, მით უმეტეს, ომიანობის დროს, როცა წარმოება ძლიერ ვარდება, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, მობილიზაციით და შემდეგ მოწვევებით, რის გამო მიწის მოქმედებას ეცლებიან გაწრავნილი და გამოცდილი მუშები, და მეორე მხრივ, რეკვიზიტია საქონლისა და ურმებისა (ტრაქტორებისა, რომელიც აღვილად შეიძლება ტანკებად იქნენ გადაკეთებული). ამას გარდა, მიწათმოქმედების დაცემაში დიდ როლს თამაშობს ხელოვნური სასუქის უქონლობა, ვინაიდან მის დროს ადვილად შეიძლება ყოველი იმპორტი შესწყდეს და ან კიდევ ასაფეთქე-

ბელი მასალების წარმოების გაფართოებისა გამო. შემცირდეს ხელოვნური ნური სასუქის პროდუქტია, ვინაიდან ორი უმთავრესი ქიმიური სიმჟავე, როგორც მაგალითად, გოგირდის სიმჟავე და აზოტის სიმჟავე, ორივე დიდ საჭიროებას წარმოადგენს, როგორც ასაფეთქებელ მასალების დამზადებაში, ისე ხელოვნური სასუქის შექმნაში.

ვინაიდან მიწათმოქმედების წარმოების აწევაში დიდ როლს თამაშობს სასუქის ხმარება და უპირველესად კი ხელოვნურისა, საჭიროა ამ საკითხის მოწესრიგება. ამასთანავე უნდა ვეცადოთ, რომ ეს მრეწველობა იქნება ისე მოთავსებული, რომ ომიანობის დროს არ წარმოადგენდეს მტრისათვის ადვილად შემოსახული ადგილებს. რასაკვირველია, ომის გამოცხადებისათვავე ნაწილი ამ საწარმოთა გადავა ასაფეთქებელი მასალის დამზადებაზე. ომიანობის დროს ჯარის გამოკვება მჭიდროთაა დაკავშირებული მთელი საზოგადოების გამოკვებასთან. ეს საკითხი უნდა იქმნება განხილული, როგორც მთელი ერის გამოკვების საკითხი; ამისათვის მშვიდობიანობის დროს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება ამ საკითხის შესწავლისა და დამუშავებას. მსოფლიო ომის დროს ამ საკითხის დასაკმაყოფილებლად ორ საშუალებას მიმართავდენ მებრძოლი ერები: 1) რაც შეიძლება მეტად გაემრავლებიათ. სუკვები სურსათი, და 2) მისი ულუფა შეემცირებიათ. სურსათის გამრავლება შეიძლება იძპორტით და საკუთარი წარმოების გაფართოებით. იმპორტის, როგორც ზემო მოგახსენეთ, განხორციელება ხშირად შეუძლებელია, ამასთანავე აუარებელ სახელმწიფოებრივ თანხებს მოითხოვენ და ამიტომაც უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს შინაური მრეწველობის განვითარება-გაფართოებას.

რაც შეეხება ულუფის შეემცირებას, საკითხი გამოსაკვებ სურსათის ეკონომიისა უსათუოდ უნდა იქნება ომიანობისას ჩატარებული. ეკონომიზაცია უნდა შეეხება ყველა დარგს. პრინციპი, რაც შეიძლება მეტი გამოყენება ყველა სურსათისა, უნდა იქმნება პირველ რიგში დაყენებული; რაციონალიზაცია, შეცვლა ძვირ ან ძნელად საშოვარ პროდუქტებისა, უფრო იაფით და ადვილად საპოვნით; რაც შეიძლება შეემცირება არა სამხედრო საქმისათვის საჭირო მრეწველობისა. და ყოველივე ნედლი მასალის ანგარიშზე აღებისა, შინაური პირუტყვების მოთხოვნილებების შეემცირება, გამოყენება ყოველივე მონარქენებისა და მშვიდობიან დროისათვის უვარების სურსათისა — ერთი სიტყვით „ყოველი ზომა უნ-

და იქმნეს მიღებული, რათა თვითდაკმაყოფილება ომიანობის დროს
სრულებით იქმნეს ჩატარებული.

ბ-ნი თოფურიძე თავის „საქ. ეკ. საფუძ“-ში აღნიშნავს, რომ საქართველოში თუ რაციონალურად იქმნა მეურნეობა დაყენებული, შესაძლოა სამჯერ მეტი პურის მოსავალი მივიღოთ. მიწამ ჩვენში რომ მოგვცეს იმისთანა მოსავალი, როგორც ევროპაში, 45 მილიონის ნაცვლად იქნებოდა 83 მილიონი ფუთი პურეული. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომა ჩვენი ძლიერად დაქვეითებული მეურნეობის კულტურულ ნიადაგზე დაყენებისათვის და მართლაც. თუ ჩვენი პურეულობის მოსავალი 83 მილიონამდე ავწიეთ, მაშინ არამც თუ შემოვიტანთ უცხო ქვეყნებიდან, არამედ შეძლება გვექნება ზედმეტი დავაგროვოთ დამშეულა წლებისათვის და სამობილიზაციოთ, — და აგრეთვე საზღვარგარედ გატანასაც მოვახერხებთ, რაც ჩვენ სავაჭრო ბალანსს ასწევს.

ბი – ნა ქუ – ძე

ცხენოსანი ჯარი მოგავალ ომში

მსოფლიო ომის შემდეგ, სამხედრო მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი ცხენოსანი ჯარის ორგანიზაცია, დანიშნულება და მნიშვნელობაზე მომავალ ომში.

ჩვენს მომავალ ეროვნულ სახელმწიფოში, იმედია სამხედრო წრეები ისარგებლებენ დიდი ომის მაგალითებითაც და ომის შემდეგ მომზღვაული და ცვლილებებით ცხ. ჯ. ორგანიზაციაში, და ისე მოაწყობენ ცხ. ჯ. როგორც ამას მოითხოვს საქართველოს მომავალი საზღვრები, მისი გეოგრაფიული — ტოპოგრაფიული პირობები და ის დანიშნულება, რომელიც ექნება ცხენოსან ჯარს საქართველოში. ეს უკანასკნელი დებულება მით უმეტეს საინტერესოა, რომ ჯერჯერობით კიდევ არ არის ნათლად გამორკვეული და ერთნაირად დამყარებული ყველა სახელმწიფოში აზრი, თუ როგორ როლს ითამაშებს მომავალი ომის დროს ცხენოსანი ჯარი. ამიტომაც არის, რომ ინგლისში და საფრანგეთში მოხდა ერთგვარი შემცირება (რედუქცია) ცხ. ჯ., მაშინ როდესაც გერმანიაში (მი-

უხელვად ვერსალის ხელშეკრულებისა, რომლის ძალით გერმანიას 2000 ჯარიდან უფლება აქვს 16 000 ცხ. ჯ. იყოლიოს). საბჭოთა რუსეთში და პოლონეთში არის ტენდენცია ცხ. ჯ. გამრავლებისა და გაძლიერებისა. ამ უკანასკნელთ გათვალისწინებული აქვთ ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიდაც მათ მოუხდებათ ბრძოლის წარმოება —

უზარმაზარი გაშლილი ფრონტები, როგორც რუსეთ-პოლონეთის, ისევე პოლონეთ-გერმანეთის საზღვრებზე!

მე არ მაქვს განხრახული განვსაზღვრო მომზადი ქართული ცხ. ჯ. რაოდენობა. მე მსურს მხოლოდ გავაცნო მკითხველს ძირითადი პრინციპები თანამედროვე ცხ. ჯ. ორგანიზაციისა. აუცილებელია ამ გამოცდილ პრინციპებზე იყვეს აგებული ჩვენი ცხ. ჯ.. რათა შემდეგში ადგილი არ ექმნეს ისეთ ოპერეტულ იმპროვიზაციას ცხ. ჯ.. რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში ბოლშევიკებთან საბედისწერო ომბს დროს. მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ და მისი წარმოებისა ახალი ცხ. ნაწილების შექმნა ძნელიც არის და უნაყოფოც. ამის მაგალითები მრავალია რუსეთ-პოლონეთის ომიდან. რუსის თეთრი გენერლების გამოსვლების დროიდან და უკელაზე უფრო ნათელი ჩვენი საკუთარი მაგალითი. ღენ. დ. ჭავჭავაძის ეშალონი სავსე ცხ. ჯ. ოფიციელით, ჩვენმა მთავრობამ 1921 წ. 24 თებერვალს ნაშუადღევის 14 საათზე გაისტუმრა ტფილისიდან სურამში ცხენოსანი ნაწილების შესადგენად, ხოლო მთავრობის მატარებელი უფრო ადრე ჩავიდა რიონში და ქუთაისში, კიდრე თ-დი ჭავჭავაძე ხაშურში, რა თქმა უნდა, ღენერალ ჭავჭავაძემ თავისი ამოცანა ვერ შესარულა შისებან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზების გამო და ცხ. ჯ. საუცხოვო ოფიციელი უჯარისკაცებოდ (თუ ამ ჩავთვლით 2-3 ცხ. ასეულს, რომლის შედგენას გჩადაგზა აუარებელი შრმა და ენერგია დასჭირდა) ჩაიყვანა ბათომში...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

რა გვასწავლა დიდმა ომმა?

მსოფლიო ომის წინ ის აზრი იყო გავრცელებული, რომ ცხენოსახუარის დანიშნულებაა მოპირდაპირის ცხ. ჯ. ბრძოლა და მისი დამარცხება. მაშასადამე, სრულიად სამართლიანი იყო ცხ. ჯ. წრთვნა გადაჭარბებით, — მხოლოდ ცხენოსახ წყობილებებში და ისიც დიდი ერთეულებით და მოჯრილ წყობილებებით. ხშირი იყო ვარჯიშობა რაზებით, ბრიგადებით და დივიზიებით. ხმლისა და შუბის ხმარებამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია. „გამარჯვება მას ეკუთვნის, ვინც პირველი შე-

უტევს და გამოიყენებს უკეთ მოჯრილ წყობილებას"-ო, ამბობდენ ცხენოსანთა შეე-ითი გაწრთვნა-გავარჯიშებას, სროლის და არტილერიის ცეცხლის მნი-შვნელობას სწორად ვერ აფასებდენ. ასეთივე აზრისა და შეხედულე-ბის იყო ვერმანული ცხ. ჯ. სარდლობაც. როდესაც მას მოუვიდა საი-დუმლო ინსტრუქციები რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე დიდი ომი და-იწყებოდა. ამ ინსტრუქციების მიხედვით, ვერმანულები მოის დაწყები-სათანავე ერიდებოდენ ცხენდაცხენ ბრძოლას, და უმრავლეს შემთხვე-ვაში, რუსთა ცხენოსან შეტევებს დაჭვეითებულნი წინასწარ მომზადე-ბული პოზიციებიდან ძლიერი ცეცხლით უმასპინძლდებოდენ. დაჭვე-ითებას იძულებულმა მოპირდაპირებ კი მალე დაინახა, რომ ქვეითი ბრძოლისათვის საქამარისი მომზადება აკლდა. აღმოჩდა, რომ ისევე სა-ჭირო იყო ცხ. ჯ. ქვეითად ბრძოლის ცოდნა, როგორც ცხენ-და-ცხენ. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მიზნის მისამწევად საჭირო დარჩა ცხ. ჯარის ნაწილს კიდევ ცხენდაცხენ ემოქმედნა. ხოლო დიდი ერთეულე-ბის ცხენდაცხენ მოქმედებისათვის განსაკუთრებული პირობები იყო სა-ჭირო, როგორც მაგალითად, დამარტინებული მოპირდაპირის დევნა. აი, რა დაანახვა მოის პირველმა თვეებმა ცხ. ჯ-თა სარდლობას.

უდიდესი როლი დიდი ომის დროს ცეცხლის სიძლიერემ ითამაშა. თე-ორეტიულად ყველა დარწმუნებული იყო, რომ ცეცხლი დიდ როლს ითამაშებდა. ხოლო არავის ევონა, თუ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. ამიტომაც იყო, რომ ომის დასაწყისში ხმარობდენ მიჯრილ წყობილებებს ისეთ მომზადებულ არმიაშიც, როგორიც ჰყავდა გერმა-ნეთს.

ყველას კარგად ახსოვს, თუ რა რჩეული ნაწილები ქვეითი ჯარისა იღუპებოდა ეკლიან მავთულებზე იერიშების დროს, თუ ეს იერიშები წინასწარ არტილერიის მიერ მომზადებული ერთგვარად უზრუნველ-ყოფილი არ იყო. ცეცხლის ასეთი როლი ვერც ცხ. სარდლებმა გაითვა-ლისწინეს და ამიტომაც მათ მიაკუთვნეს უპირატესობა ცხენოსან იერი-შებს, მაგრამ მალე დარწმუნდენ, რომ ამის გარდა საჭიროა აგრეთვე ძლიერი ცეცხლის საშუალებანი და მათი პარმონიული შეთანხმება (ცხ. ჯ. მოძრაობასთან). გერმანული სარდლობა დარწმუნდა კიდევ იმაშა, რომ ხშირმა ბრძოლამ ქვეითად შეასუსტა უნარი (ცხ. ჯ. ცხენდაცხენ ბრძოლისა).

ყველა ზემოდ აღნიშნულმა მიზეზებმა, ცხ. ჯარის სარდლობა მიიყვა-

ნა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი საჭიროა რეფორმები ,როგორიცაა თავის მიზანი შეიძლებაში, აგრეთვე ცხ. ჯ. თვით ტაკტიკაში.

დავიწყოთ შეიძლებიდან. გარდა კარგად მოხამებული, ლაშქრობა-ში ამტანი და გამძლე ცხენებისა, ყოველი ცხ. ეროვნულისათვის აუკი-ლებელია (ვგულისხმობ ტაკტიკურ ერთეულს) ცეცხლის ძლიერი საშუ-ალებანი; სახელდობრ: კარგი სისტემის თოფი, ტყვია მფრქვევი, მსუ-ბუქი და მძიმე, კარგი და მაღი ცხ. არტილერია. ჯავშნოსანი ავტომო-ბილები და მსუბუქი ტიპის (სპეციალური ჯარისათვის) ტანკები. აქ აუ-ცილებელია ერთი პირობა. ყველა ეს ცეცხლის საშუალება იმდენად სწრაფი, მძრავი და ელასტიური უნდა იყოს. რომ არ დააბრკოლოს და არ შეაფერხოს ცხენოსანი ჯარის სწრაფი მოძრაობა. რაც, როგორც არა ერთხელ აღვინიშნეთ, ერთი უმთავრესი ლირსებათაგანია ცხ. ჯარისა. წი-ნააღმდეგ შემთხვევაში. ცხ. ჯარი იქცევა ამ ცეცხლის საშუალებათა მცველად და მის პირდაპირ დანიშნულებას ვეღარ ემსახურება.

დიდმა ომმა და მის შემდეგ მომხდარმა ცხ. ჯარის მანიოვრებმა (პო-ლონეთში 1925 წ. საფრანგეთში 1930 წ.) დამტკიცა. რომ ცხენოსანი ჯარის მნიშვნელობა არც შემცირებულა და არც გამოცვლილა. რო-გორც წინად, ისე მომავალშიც მისი მოვალეობაა: დაზვერვა, დაფარვა და უზრუნველყოფა მობილიზაციის. ჯართა კონცენტრაციისა და ბრძო-ლა. ხოლო საშუალებანი, რომლებითაც ცხ. ჯ. სარგებლობს, თანამედ-როვე ტეხნიკამ თვალსაჩინოდ შესცვალა.

ვნახოთ როგორაა მისი დანიშნულების მთავარი საგანი — დაზვერვა. როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ცხ. ჯარი დაზვერვისათვის?

მსოფლიო ომამდე დაზვერვა ასე სწარმოებდა: ცხ. ჯარის ნაწილება გაშლილ-გაჯრილი წყობილების საშუალებით სცდილობდენ გასვლას მოპირდაპირის ნაწილებთა შორის. მოქცევას მოპირდაპირის ზურგში და პატარა ლოკალური შეტაკებების დროს სცდილობდენ ცნობების მოგროვებას ან თითო-ორთოლა ტყვეს ხელში ჩაგდებას. სხვა შემთხვე-ვაში გამოიწვევდენ მოპირდაპირის სროლას და ცეცხლის ძალის მიხე-დვით შეაფასებდენ მტრის რაოდენობას.

დიდი ომის დაწყებისას ასეთმა ხერხმა ძალიან მცირე, ანუ უფრო სწორად რომ ესთქვათ, არავითარი ნაყოფი არ მოატანა. მომავალ ომ-შიც ეგ ხერხი სრულიად გამოუსადეგარი იქნება. მხოლოდ ნამდვილ ბრძოლაში შესძლებს ცხ. ჯარი შეკრიბოს საჭირო და უტყუარი ცნო-

ბები. ცხ. ჯ. მოწინააღმდეგეთა აზრი, რომ მის ადგილს მფრინავები და იქტირენ, გადაჭარბებულია.

მაგრამთალია, მფრინავს შეუძლია დიდი სისწრაფით აღმოაჩინოს მტერია და დიდი სისწრაფითვე მოგვაწვდინოს ეგ ცნობა, ნაგრამ მისთვის უფრო ძნელია ვიდრე ცხ. ჯ.-ვის დანამდვილებით ვკითხრის, თუ რა დარგის ჯარია და ამდენია იგი. რაც უმთავრესია, მფრინავს არ შეუძლია მოვიყვანოს ტყვე ე. ი. ენა. ცხ. ნაკლებად სწრაფია მფრინავზე, მაგრამ უფრო სწრაფი და ელასტიური, ვიდრე ქვეითი. ამიტომ ის წარმოადგენს ერთგვარ საშუალო დარგს ამ ორ ზემო-ხსენებულ ჯართა შორის. სარგებლობს რა მანევრითაც და ცეცხლითაც, მას შეუძლია დამოუკიდებლად, ბრძოლის დროს, შეკრიბოს სწორი და საჭირო ცნობები მტრის შესახებ.

რა სამსახურს უწევს იგი ქვეთი ჯარს?

ქვ. ჯარის წინმცელი ერთეულებიდან ორი დღის სავალ მანძილზე დაწინაურებული, ცხ. ჯ. უმზადებს ნიადაგს ბრძოლისათვის ქვ. ჯარს; მიასწავლის მის მიერ ბრძოლაში აღმოჩენილ მოპირდაპირის საბრძოლო ხაზებს, გააცნობს მტრის ფრთხების მდგომარეობას და, რაც მთავარია, აწვდის ცნობებს ქვ. ჯარის სარდალს. ჯერ კიდევ გზაში მყოფს, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევს საჭიროების მიხედვით შესცვალოს წინასწარ მიღებული ოპერაციის გეგმა და მიიღოს უკანასკნელი გარდაწყვეტილება მოქმედებისა. ყველაფერს ამას ცხ. ჯ. აღწევს ბრძოლის საშუალებით, მაშასადამე, მისი რაოდენობა ისეთი უნდა იყოს, რომ მან შესძლოს აწარმოოს ბრძოლა მანამდე, სანამ ქვ. ჯ არ მოუსწრებს და ბრძოლის მთავარ ფაზას არ იკისრებს. სამრაზმიანი ბრიგადები ასეთი ამოცანისათვის გამოიყენებული გამოდგენ. ამიტომ თანამედროვე არმიებში გადავიდენ 6 რაზმიან დივიზიებზე. მხოლოდ ასეთ ზედ ერთეულს შეუძლია, დაშორებულს მთავარ ნაწილებისაგან, 2 დღის სავალზე, დამოუკიდებლად აწარმოოს ბრძოლა და მოამზადოს ნიადაგი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. შეასრულებს რა ამ პირველ დავალებას. ცხენოსანი ჯარი გადადის სარდლის რეზერვში და უცდის იმ მომენტს, რომლისთვისაც მან ბევრი შრომა გასწია. ეს მომენტია უკვე შესუსტებული და შერჩეული მოპირდაპირის საბოლოო დამარცხება. რა თქმა უნდა, ყველაფერი მდგომარეობაზეა დამყარებული და თუ მდგომარეობაზ მოითხოვა, მაშინ ცხ. ჯარმა უნდა გამოიჩინოს მისი ლირებულება და ვარგისობა. სწრაფად უნდა ეძეროს მოპირდაპირეს, რომელიც უკვა-



უკანასკნელი ძალებით თავდაცვით ბრძოლის აწარმოებს, როგორის ფრთხის და მიზანით, შემოვლით, ზურგში დარტყმით, მოულოდნელი თავდასხმებით შექმნას პანიკა, გამოაცალოს ხელიდან ყოველგვარი ინიციატივა და აიდულოს უწესო და არეულ დახევაზე. ასეთ შემთხვევაში ცეცხლის სა-შუალებათა და განსაკუთრებით მსუბუქი ჯავშ. ავტომობილების გარდა, საპატიო აღგიღს შუბი და ხმალი იკავებს. აი როგორ ახასიათებს ამ მომენტს ღენ. ლავინ დელვილი: „თუ იძულებული ხართ (ცხენოსნები) იბრძოლოთ ფეხით. — გააკეთებთ, რასაც შესძლებთ, და თუ ცხენდა-ცხენ — გააკეთებთ. რასაც მოისურვებთ“—ო

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ასეთ მომენტში ჩნდება ცხ. ჯ. ღირებულება და ასეთი მომენტისათვის ყველა საშუალებით, რაც კი შესწევს. უნდა იბრძოლოს და იშრომოს. წინასწარ ბრძოლებში დაღუპულთა რიცხვმა არ უნდა შეარყიოს მისი სიმტკიცე. რათა უნდა იცოდეს, რომ უკანასკნელ მომენტში ერთს ხეთად აინაზღაურებს. ვისაც ეს უკანასკნელი არა სწამს, ის ცხენოსან ჯარში სამსახურისათვის გამოუსადეგარია და ხელიც უნდა აიღოს მასზე.

15 — 8 — 32 წ.

პარიზი.

8. დ — 60

არტილერია, მისი დანიშნულება და გამოზევება

თანამედროვე გრძოლაში

8

არტილერიის საინფორმაციო სამსახური

არტილერიის საინფორმაციო სამსახური იღებს თავის დასაწყისს, უკანასკნელ საერთაშორისო ომიდან (შემოღებული იქნა პირველი და მეორე მისამართის მიერ 1915 წელში და სავსებით დაკანონებული 1916 წ.), სადაც

ბრძოლის პირობების სხვა და სხვა ცვლილების გამო, აუცილებელი შეიქმნა დაწვრილებითი და ნამდვილი ცნობების შეკრება, ყოველ-გვარი წყაროებით და საშვალებებით, მოპირდაპირის შესახებ, რომ არტილერიის მოქმედება სათანადოთ ნაყოფილი ყოფილიყა, და ამასთანავე არ გამოეწვია ზედმეტი ხარჯი ჭურვებისა, რის შევსებაც ერთ უძნელეს საკითხს წარმოადგენდა ყოველი მებრძოლი მხარესათვის.

ბრძოლის მანძილების ზრდამ და მიღამოსთან შედარდებით და ხერხიანად ნიღაბ-მოსხმით მიზნების ფარვამ შეზღუდა ფრიად ნაყოფიერება არედან თვალდევნისა. რომელიც უკვე ვერ იძლევა საკმარის ცნობებს მიზნების გარკვეულ მდებარეობის და მდგომარეობის შესახებ. ამიტომაც წარმოშვა საჭიროება სხვა და სხვა საშუალებებით და ხერხით და სხვა და სხვა ადგილზე მოპოებულ ცნობების შეკრება-შეჯგუფებისა ერთ ადგილას, საღაც სათანადოთ გადამუშავებული შეიქმნება და ამოკრებილი. დასკვნანი, დამყარებული შემოწმებულ ფუძეზე.

მოპირდაპირის დაჯგუფების და ზურგის სილრმეზი გაგრძელებამ გამოიწვია აგრეთვე აუცილებლობა ნამდვილ და შემოწმებულ ცნობები, მოპოებისა მნიშვნელოვან მიზნების მდებარეობის შესახებ, რომლებზე-დაც ცეცხლის წარმოებას შეუძლია სარგებლობის მოტანა.

ამას გარდა, ზუსტ და დანამდვილებითი ცნობებს მიზნების შესახებ მუდამ შეუძლია შეამციროს დიდი ხარჯი ჭურვებისა, რომელსაც იწვევს თანამედროვე ბრძოლა, და მისცეს ცეცხლს მეტი ნაყოფიერება.

არტილერიის საინფორმაციო სამსახური ომიანობის დროს დიდ ერთეულების არტილერიის უფროსების სამმართველოში და მათი შემადგენლობა დაახლოვებით შემდეგია: — არტილერიი! საინფორმაციო სამსახურის გამგე და მისი თანა შემწე (ოფიცერი), შემდეგ, ტოპოგრაფები, მხაზაქნი, მეთვალყურენი და ტელეფონისტები.

ამ სამსახურის დანიშნულებას წარმოადგენს:

- არტილერიისათვის საჭირო ცნობების შეკრება,
- ყოველგვარ წყაროების მიერ მოწვდენილ ცნობების ცენტრალიზაცია,
- ვაშინჯვა, შედარება და შეფასება სხვა და სხვა წყაროების საშუალებით მიღებულ ცნობებისა და ნამდვილ ცნობების ჩამოყალიბება.
- უფროსებისათვის და ქვემდებარე ერთეულებისათვის ცნობების გადაცემა,
- ცნობების გამოყენება,

არტილერიის საინფორმაციო სამსახურის ცნობების მიმწვდომი წყაროები არის შემდეგი:

- საკუთარი ორგანოები თვალდევნისა,
- არტილერიის ერთეულების თვალდევნის ორგანოები,
- საკუთარი დივიზიის შტაბი (მეორე განყოფილება),
- უფროს და მეზობელ ერთეულების არტილერიის საინფორმაციო სამსახური.

როგორც ვხედავთ, ცნობების მიმწვდომი წყაროები არტილერიის საინფორმაციო სამსახურისა არიან დამოკიდებულებაში ან უშუალოდ საარტილერიო უფროსობასთან ან კიდევ დიდი ერთეულების შტაბებთან.

არტილერიის საინფორმაციო სამსახურის თვალდევნის საკუთარ საშვალებად არის მხოლოდ საარტილერიო გაზომვის ბატარეები, რომლის მოქმედების შესახებ უკვე გვქონდა ბაასი წარსულ წინამორბედ თავში.

თთქმის ყველაზე მეტ მნიშვნელოვან ცნობების მიმწვდომ წყაროდ არის საკუთარი არტილერიის ერთეულები, მეტადრე მოპირდაპირის არტილერიის შესახებ:

მოპირდაპირის არტილერიის მოქმედებისაგან (იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ბატარეია სად და რას ესვრის), მუდამ შესაძლებელი ხდება გამორკვევა ამ არტილერიის ორგანიზაციისა, აგრეთვე ქვემეხების ყალიბისა და ხარისხისა, რაც საშვალებას იძლევა გამოირკვეს არტილერიის მნიშვნელობა და საერთოდ, ძალების რაოდენობა განსაზღვრულ ფრონტზე. არტილერიის ყოველ ცვლილებისაგან შეიძლება დასკვნის გამოტანა მოპირდაპირის განზრახვების შესახებ.

დივიზიის შტაბებს ცნობებს აწევდიან:

—ქვ. რაზმების საინფორმაციო სამსახური, რომელიც იძლევიან ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს მოპირდაპირის უაზლოეს სფეროზე და ამ რიგად ავსებენ არტილერიის თვალდევნას.

— ტყვეები, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მოცემა მოპირდაპირის არტილერიის პოზიციების და მისი ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე საკუთარი არტილერიის მოქმედების შედეგების და ნაყოფიერების შესახებ. ამ გვარ ცნობების შესაკრებად სასურველია მუდამ ტყვეების დაკითხვისას იმყოფებოდეს ერთი ოფიცერი არტილერიის საინფორმაციო სამსახურიდან. ხელში ჩაგდებულ მოპირდაპირის სხვა და სხვა დოკუმენტი იძლევა ცნობებს მოპირდაპირის არტილერიის ორგანიზაციის და მისი გამოყენების შესახებაც.

— გვიაცია, რომელიც დაზვერვით და ფოტოგრაფიით არკვეუს ძალაში პირდაპირის არტილერიის პოზიციებს.

— და ბოლოს ყურისგდება ტელეფონებისა და რადიოსი.

არმიის და მეზობელ დივიზიების არტილერიის საინფორმაციო სამსახურთანაც, ყოველი დივიზიის არტილერიის საინფორმაციო სამსახურიდა იყვნეს მუდმივ მჭიდრო კავშირში საკუთარ საშვალებებით შეკრებილ ცნობების შესამოწმებლად და ჩამოსაყალიბებლად.

ყოველი წყაროს მიერ მიწვდომილი ცნობა არტილერიის საინფორმაციო სამსახურის მიერ უნდა დაკვირვებით განხილულ იქმნას, ერთმანეთთან შედარებული და ჩამოყალიბებული, რომ არ არსებობდეს არავითარი სხვადასხვაობა. ყოველი ცნობა შედარებული, შემოწმებულია და ჩამოყალიბებული გარკვევით უნდა გადაცემულ იქმნას საღაც ჯერ არს გამოსაყენებლად და ამასთანავე, არტილერიის საინფორმაციო სამსახური უნდა ადგენდეს ტაბულებს ცნობებისა და განსაკუთრებულ რუქებზე აღნიშნავდეს ლირსშესანიშნავ ცნობებს.

ცნობების კვლევა-შეფასება არის არტილერიის საინფორმაციო სამსახურის უფროსის პირადი მოვალეობა, რაშიაც რა არის პასუხისმგებელი.

თავის კვლევა-ძიების შედეგს ყოველ 24 საათში ათავსებს ცნობათა კომუნიკატებში, სადაც გარკვეულად და შინაარსიანად უნდა იყვნეს მოთავსებული ცნობები:

— მოპირდაპირის არტილერიის მოქმედების შესახებ, აღნიშვნით აღმოჩენილ და ომოუჩენელ ბატარეიებისა ან და ცვლილებების და შესწორებებისა;

— ახალ აღმოჩენილ ბატარეიების შესახებ (შემოწმებული ან შეუმოწმებელი) იმ წყაროს აღნიშვნით, რომლის საშვალებითაც იყო აღმოჩენილი;

— საერთოდ მოპირდაპირის პოზიციების მოწყობილობის და ყოველ მნიშვნელოვან მიზნების მდებარეობის შესახებ.

— საკუთარი არტილერიის ცეცხლის შედეგების შესახებ;

გარდა ამ კომუნიკატებისა არტ. საინფ. სამსახური აწვდის, როგორც უფროსებს, ისე ერთეულებს, რომელთათვისაც ეს საჭიროა, ცნობათა ტაბულებს (ევიდენციას) და ცნობათა რუქებს.

ყოველი ამ ცნობებიდან, რომელნიც აღნიშნავებ მოპირდაპირის არტილერიის ფაკტიურ მდგომარეობას, დივიზიის უფროსებს საშუალება

ეძლევათ იქმნიონ სათანადო წარმოდგენა, არტილერიის დაჯგუფების მიხედვით. მოპირდაპირის საერთო ძალების დაჯგუფების შესახებაც და ამის მიხედვით კი შეაყენონ საკუთარი გეგმა მოქმედებისა და გასცენ განკარგულებანი მის შესასრულებლად.

დღიუზის არტილერიის უფროსს შეუძლია გამოიტანოს დასკვნა საკუთარი არტილერიის გამოყენების შესახებ და ამ რიგად მოაწესრიგოს ცეცხლის მანევრი, მოპირდაპირის არტილერიის საწინააღმდეგო მოქმედება და საზოგადოთ არსებულ მდგომარეობასთან შესაფერისი ყოველგვარი ცეცხლი.

არტილერიის ერთეულები იყენებენ ამ ცნობებს ტეხნიკურად ცეცხლის წარმოებისათვის.

ცნობები საკუთარი არტილერიის მოქმედების შესახებ ნებას იძლევიან არტილერიის უფროსებმა იქმნიონ წარმოდგენა მათ მიერ წარმოებულ ცეცხლის ნაყოფიერების შესახებ. რაც ყოველ წარმოშვებულ შეცდომების შესწორების და ამ რიგად მეტი სიზუსტით სროლის წარმოების საშუალებას იძლევა.

არტილერიის საინფორმაციო სამსახური უნდა მოქმედებდეს აგრეთვე მოძრავ ოშიაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში მას წინ ელობება მრავალი დაბრკოლება, რომელნიც აძნელებენ მის მოქმედებას.

უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც აძნელებს ად სამსახურის ნაყოფიანად მოქმედებას. არის საზოგადოთ კავშირის სინერგე მოძრავ მოქმედებისას. რაიც დიდათ აყვვნებს, როგორც ცნობების შეკრებას, ისე გადაგზავნას. მოძრავ ოში მდგომარეობა ფრიად სწრაფად იცვლება და ყოველ ცნობას მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ კი დროზე იქნება გამოყენებული: ამიტომ აუცილებელი ხდება ცნობების სწრაფად გამოყენება არტილერიის უფროსების და ნაწილების მიერ. რაც ყოველი ღონისძიებით უნდა იქნეს მიღწეული.

ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ არტილერიის საინფორმაციო სამსახურის დეცენტრალიზაციით. თუმცა ამ რიგად ცნობების სიზუსტე ფრიად შემცირდება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ვგებულობთ დროს, რასაც მოძრავ ოში მთავარი მნიშვნელობა აქვს.

არტილერიის საინფორმაციო სამსახურის დანიშნულება და დავალება მუდამ უცვლელად რჩება ბრძოლის ყოველ გვარობისას. მხოლოდ მოძრავ მოქმედებისას, ყოველი ცნობის მომწვდენ წყაროების ნაყოფი.

ერება მუდამ იქნება გაცილებით ნაკლები შედარებით მოქმედებებთან
ჩამოყალიბებულ ფრონტისა.

მოძრავ ბრძოლებისას ცნობების დროზე შესაკრებად, არტილერიის
საინფორმაციო სამსახურს აუცილებლად უნდა ჰყავდეს დივიზიის წინ-
წაწეულ მოხსენებათა საწყობში თავისი წარმომადგენლებიც. რომელთა
დანიშნულება იქნება ყოველ აქ შეკრებილ ცნობებიდან არტილერიი-
საოვის საინტერესო ცნობების ამოკრება და ამ ცნობების მიწოდება ნა-
წილებისათვის გამოსაყენებლად. რომ ეს შესაძლებელი გახდეს, მათ
აუცილებლად უნდა მიენიჭოს კვშირის მრავალი საშუალება. ვინაიდან
მხოლოდ ამ პუნქტიდან, როგორც უახლოესიდან ბრძოლის პირველ ხა-
ზთან, შესაძლებელი იქნება შეკრება ყველაზე მეტად მნიშვნელოვან
ცნობებისა, ამიტომაც ეს წარმოებული უნდა იყვეს პირადათ არტილე-
რიის საინფორმაციო სამსახურის უფროსის მიერ.

ამ სამსახურის მეორე ნაწილი კი თანაშემწის უფროსობით იშკოდება
დივიზიის შტაბთან და მისი დანიშნულება იქნება შეკრება შემოსულ
ცნობებისა არტილერიის უფროსებისა, უმაღლეს ერთეულებისა. მე-
ზობლებისაგან და დივიზიის შტაბისაგან და ამ ცნობების მიწოდება წინ
წაწეულ ნაწილისათვის არტ. საინ. სამსახურისა.

ამრიგად მოქმედებასაც მოძრავ ოში შეუძლია მოუტანოს არტილე-
რიას დიდი დახმარება ცეცხლის სათანადოთ გამოყენებაში და ამიტომ
შეძლების და გვარად არტილერიის საინფორმაციო სამსახური არასო-
დეს არ უნდა იღებდეს ხელს თავის დანიშნულების შესრულებაზე.

ლ. მ.

მოკლე განეცილვა საქართველოს შედებობისა

1089 — 1222 წლამდე

(დასასრული)

უფრო მოზრდილი მათი ურდონი დაწყვნენ შეწდევ ადგილას: მარჯვენა ფრთა დაბანაკდა დილმიდან დაწყობილი დიდ-გორამდე დასავლეთისკენ, ასე რომ მარჯვნივ მტკვარი ჰქონდა, უკან თბილისი, ხოლო წინ თრიალეთის მთის აღმოსავლეთი კალთები დააწყდებოდა. მეორე ნაწილი მანგლისთან იყო და პირველისაგან გათულფდა ორმა ხევები და მაღალი მთები 3-დან 4-ათას ფუტ. ზღვის დონეზე უმაღლეს; და, ძესამე დასი, დასასრულ, დალაგდა მდ. ხრამის სათავეზედ, შეა ჯგუფიდან 4 აღაჯის მანძილზედ. საზოგადო რიცხვი ყველა სამი ურდოსი 75, 00' შეადგენდა დაახლოვებით. იგინი ურთი-ერთს მოწყვეტილნი იყენენ; ეს ცხადათ სჩანს მით, თუ სად და რა ადგილებ შორის დაწყვნენ. ამას გარდა მარცხენა ფრთა, რომელიც ყველაზედ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, შეიცავდა მხოლოდ ოცა-ათას ცხენოსანს და ყველაზედ ძლიერ განცალკევებული და სხვებზე მოწყვეტილი იყო.. იმისი დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართლში წასვლათ ჩრდილოეთისკენ ან ჯავახეთში წასვლით პირდაპირ დასავლეთისკენ. გაპყოფდა დავითის სამეფოს და მის სამხედრო ძალას ნაწილ-ნაწილ; პირველ შემთხვევაში მას შეეძლო დაწალა აბხაზ-იმერეთის ჯარისათვის ქართლელ ჯართან შეერთება, ხოლო მეორე შემთხვევაში, ე. ი. თუ ჯავახეთისკენ, ანუ შემდევ სამცხესკენ გასწევდა, მომწყვეტდა იმერეთს და ქართლს ჭორობის და მტკვრის სათავის საერისთავოთაგან; მაგრამ არაფერი ამ გვარი არა მომხდარა რა. დავითმა კი მთელი თავის ჯარით, გარდა ჰერელთა და კახელთა, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ დაცვათ თავიანთი სამზღვარნი, დანიშნა შემოკრების ადგილად სურამი. ახალ-ციხე და ახალ-ქალაქი. მთების გადასავალნი, ხუთი-ექვსი ათასის სიმაღლისა, ზღვის დონიდან თრიალეთისა და ჯავახეთის ქედზედ, იყვნენ დაცულნი ციხეებით,

რომლებშიაც იდგა მეცინოვნეთა მძღავრი ჯარი; განსაკუთრებით ცაჲნე
კლდე კარი მანგლისის პირდაპირ, საიდგანაც გზა თემამის ხეობაზედ
მიდის შუა გულ ქართლში. დავითს არ დავიწყებია გაემაგრებია მცხე-
თა — სამყოფი ადგილი კათალიკოზთა. მის ჯართა მოძრაობა და თავ-
მოყრა ერთ ალაგას დაფარულ იყო ორი დიდი მთის ქედით, თრიალე-
თისა და ჯავახეთისა. 16 აგვისტოს დავითი დაიძრა ქუთაისიდამ თავის
ჯარით, გადაიარა ლიხის მთა და შეუერთდა სურამში ქართლელების
და ყიქჩალების ჯარს, რომელიც მას იქ მოელოდა. მეორე დღეს აცნობა
რა მექსთა, რომ ქუა-ხრამის სათავისკენ გამვზავრებულიყვნენ, თვი-
ოთნაც თავის დანარჩენი ჯარებით გაეშურა იქითვენ გუჯარეთის ხეო-
ბით. რიცხვი მეომართა, რომელთაც დავითმა ხრამის სათავეზედ მოუ-
ყარა თავი სელჯუკთა მარცხენა ფრთის ურდოთა წინააღმდეგ, იყო 50
ათასამდე. ამ ჯარების ერთი ნაწილით მან ორ დღეში გაიარა 160 ვერ-
სი. სელჯუკი არამც თუ მოწყვეტილი იყვნენ ურთიერთს, არამედ.
სჩანს, თვალყურსაც არ ადევნებდნენ იმ გზებს, საიდანაც მოსალოდნე-
ლი იყო მტრის თავდასხმა. ამიტომაც დავითის ჩასვლას ხრამის
სათავის ხეობაში და მათი გაფანტვა და განადგურება ერთი იყო. ამ და-
მარცხების მეოხებით, დავით ძალიან საშიშარი გახდა დიდ-გორსა და
მანჯლის დაბანაკებულის ურდოთათვისაც, მით რომ იგი ემუქრებოდა
გადაეჭრა მათთვის გზა უკუკევისათვის. მაგრამ მოსლებინობა არც
კი ფიქრობდა — წინააღმდეგობა გაეწია დავითისთვის; დასტოვეს სუ-
ყველაფერი, რის წალებაც არ შეეძლოთ, და გაეშურნენ უკან თავთავი-
სას. რამდენსამე კვირის განმავალობაში დავითმა სრულიად მოსწმინდა
არაქსის მარცხნივ მიღამო სელჯუკთაგან. მათზე გამარჯვებული დაუ-
ლა იყო ხოლმე ჩვეულებრივ: ძვირფასი თვალმარგალიტი, ფერად-ფე-
რადი ქსოვილი ინდოეთისა, არაბული ცხენები, ასურული ჯორები ყო-
ველგვარი საჭურველი, ფილაკოვანნი და ტარონნი. ყოველივე ეს აუა-
რებელი დარჩათ ქართველებს. თბილისი და დმანისი, რომელნიც აქნო-
ბამდე კიდევ ეჭირათ ურწმუნოთა, იძულებული იყვნენ გაელოთ ბჭენი-
დიდებულის მეფისათვის.

ამ სახით მხოლოდ მოხერხებულის და მტკიცედ მოსაზრებულის თავ-
დარიგის წყალობით მოიმოქმედა ამ გვარი შესანიშნავი საქმე დავითმა.
ყოველთვის, როგორც ეხლაც, დიდება და სახელი მხედართ-მთავარისა,
ის არის, რომ ზოიფიქროს და მოისაზროს, რომელ ალაგს სუსტობს
მტერი, რომელი ნაწილი მტრის ლაშქრისა უფრო ადვილად დასაძლე-

ვია, და შეიგნოს, რომელ ნაწილს მტრის ჯარისას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა და მას ეკვეთოს მედგრად ყოველის თავის ღონით და ძალით, როგორც მაგალითად სელჯუქთა ლაშქარში მოიმოქმედა დავითმა მდ. ხრამის სათავეზედ სელჯუქთა მარცხენა წვერის ანუ ფრთის დასამარცხებლად. ოქ 1122 წელს, ვერნებთ. იმის გარდა, რომ მხედართმთავრის ნიჭის ამტკაცებს, იმასაც მოწმობს, რომ გზები მაშინ საუკეთესონი ყოფილა, ჯარი მორჩილი და გამგონი. დიდი მანძილზედ ლაშქრობას და გადასვლ-გადმოსვლას ჩვეული. თუ ეს ყოველივე ლაშქარს არა სჭირს, შესაბამი რთული მოქმედებანი დიდის ჯარისათვის შეუძლებელია. დავითის ლაშქარს ყოველივე ეს ღირსება ჰქონია. ამაზედ პირ-და-პირი ცნობა დაცითის ცხოვრების აღმწერს მოჰყავს, რომელიც, როგორც ბროსე საფუძვლიანად ფიქრობს, იყო თანამედროვე, ან იქნება მონაწილეობის მიმღებიც ამ მეფის მოღვაწეობაში.

მაგრამ უფრო მომეტებული სამხედრო ძლიერება საქართველომ თამარის დროს გამოიჩინა მე-13 საუკუნის დასაწყისს. წეს-წყობილება, დავითის მიერ დამყარებული, დროს განმამავლობაში უფრო განმტკიცდა და მაგრად გაიდგა ფესვი ქართველების ყოფა-ცხოვრებაში და მის შვილის-შვილის თამარის დროს სრულიად დამკვიდრდა, ისე რომ იმ დროს საქართველო ხდება ერთ უძლიერეს სამეფოდ აზის წინა-მხარისა. 203 წ. თამარი გამოისარჩილა თავის ხეო-ჭეითს, შირავან შაჰს ('შირვანი — ეხლანდელ ბაქოს გუბერნიაში მდებარეობდა). მისი სიძე(?, მფლობელი ადერბეიჯანისა თვის მფარველობის ქვეშ მიიღო, და ამის გამო იძულებული შეიქმნა ებრძოლნა აბუ-ბეკირის წინააღმდეგ, რომელიც იყო მპყრობელი სრულიად დანარჩენი სპარსეთისა ინდოეთის სამზღვრამდე. როგორც ხმა გავრცელდა, ამას განეზრახა შემოსევა საქართველოში.

მაისის გასულს, 1203 წ. თამარის მიერ შეკრებილი ჯარი დაბანაკდა მდ. ალგეთისა, ხრამეს და დებედის შიდამოთა შორის. ისე რომ მარცხენა წვერი ანუ ფრთა მტკვრისკენა ჰქონდა, საცა მას ერთვის მდინარე ხრამი (ამ ალაგს ეხლა წითელი ხიდი ჰქიან). ამ ლაშქარში, ჩვეულებრივი ქართველი ჯარის გარდა, ერთა ყიგხაყელთ სპანი, რომელნიც თამარს ჯამავირით ეჭირა. აგრეთვე მეომარნი შირვან-შაჰისა და ამირ მირანისა. თამარი თვით წავიდა თბილისიდამ ჯართ დასახედავად და ვა-სამხნევებლად. ვირტუ იგი ბანაქში იმყოფებოდა, და უცდიდა ნამდვილს ცნობას მტრის შესახებ. ყოველ-დღე აღლუმი — მოედაზედ

გაწყობილი ჯარის დათვალიერებაა) ხედავდა და ჯარი ხშირად სახურავის და-სხვა სამხედრო თამაშობით ერთობოდა: ბურთაობით, ასპარეზობით, ჯირითით და სხვ.

მალე მოვიდა ამბავიც, რომ აბუბეკირს შეუთვლია ხალიფასათვის — მისცეს მას დროშა მაჭადისა. რათა ამ ლაშქრობას მისთვის რელი-გიური ხასიათი. ხალიფამ მართლაც აუსრულა მას თხოვნა და შეჰყარა ჯარი სამარყანიდგან და ინდოეთიდგან დაწყობილი შუა-მდინარეთამდე, რომელიც აბუბეკირის წინამდლოლობით ნახიჩევანის პირდაპირ გამო-ვიდა ორაქსს. თამარი ამ ამბის შეტყობისათანავე ლაშქრის გამრავლე-ბის ზრუნვას შეუდგა. რადგანაც იცოდა თავის ჯარის რაოდენობა. ამ აზრით მან უბრძანა შეიგნობართ-უხუცესს ანტონ ჭყონდიდელს დაწევ-რა ბრძანება. რომ ყოველი იარაღის ტარების შემძლებელი გამოგზავ-ნილ ყოფილყო ლაქრობაში და. რომ ყოველს ეკლესიაში მუდამ დღე ალევლინათ ლოცვა ღვთისა წინაშე მისის ჯარის გამარჯვებისათვის. ეს ბრძანება და ამასთან ფული, გლახაუთა და დავრდომილთათვის შემწე-ბად ომის განმავლობის დროს, გაგზავნილ იყო იფრინდაებისა და შიკ-რიკების შემწეობით. ამ ბრძანების*) მიღების შემდეგ ათი დღის განმა-ვლობაში, ყველა მეომარი შეიკრიბნენ დანიშნულს ალაგას, და თვით შორეულ საერისთაოებისაგანაც კი, როგორც მაგალითად აბხაზეთისა და კლარჯეთისანი არიან. მოგროვდნენ და შეუერთდნენ თავ-თავიანთ სპას ხრამის და მტკვრის შესართავთან. ივნისის ნახევარს, სამხედრო თაბირის შემდეგ, თამარი დაბრუნდა თბილისს, ხოლო ლაშქარი დაპ-ყვა მტკვარს თამარის მეუღლის დავით სოსლანის და ამირ-სპასალარის ზაქარია მხარ-გრძელის წინამდლოლობით. მარტო ქართველი ჯარი შე-ადგენდა 90 ათასს კაცს. ამირ-მირანისა და შირვან-შაჰის ცხენოსანნა სპანი, რიცხვით რავდენსამე ათასს კაცამდე, წინ მიღიოდნენ და გზას უჩვენებდნენ დანარჩენთ; მაგრამ ომში ამათი მინდობა არ შეიძლებო-და; როგორც მოსლემინები, იქნება მათ გაცხარებულ ომის დროს ელა-

*) „ქართლის ცხოვრება“ გვ. 305... „ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იქმნა. და ათსა დღესა შინა ვითარცა გროი შავარდენთა მოჰორინდა,, ვითარცა პირველ ვთქუ, ყოველი შედრობა, ყოვლითურთ კერძო სავ-სენი სიხარულითა და აღივსო სპითა თამარისათა მტკვრის პირი. ტფი-ლისით ყარაღაჯამდე, აღგეთის პირი და ბურღუჯის პირი“.

ლატნათ და გადასულიყვნენ აბუბექირის მხარეზე, რაკი შეიტყობდონენ. რომ მას მაკადის დროშა აქვს ამართული. ქართველი ლაშქარი აჩქარებული მიისწრაფოდა წინ. ორი დღის განმავლობაში მან გაიარა 16 და ნახევარი აღაჯი. მარჯვნივ მთა ჰქონდა ჯარს, ხოლო მარცხნივ — მდ. მტკვარი. მეორე დღეზე, საღამოს, დაბანაკდა მდ. ძეგამის ნაპირზედ. ამ დრინარიდამ შამქორამდე ვაკე ადგილი ძეგის: სიგძით 2-3 აღაჯი. აქ დავით სოსლანმა აეშაგთა (ჯაშუშები) შემწეობით შეიტყო, რომ მტერს განჯის იქითა მთები დაუგდია, თვით განჯის ციხეც მიუტოვებია და გამომგზავრებულა შამქორისკენ. აეშაგთა ამას დაურროს კიდევ ის გარემოებაც, რომ აბუბექირის ჯარი მრავლისაგან უმრავლესიაო, დაახლოვებითაც ვერ დაითვლებაო, როგორც ვერ აღირიცხება ქვიშანი ზღვისა და ვარსკვლავნი ზეცისანიო. მაგრამ შამქორიდამ დაწყობილი მთლად განჯის იქით, და მთებიდამ მტკვრამდე ადგილი სულ მტერს უჭირავსო. სოსლანს თვითონაც შეეძლო შეემჩნია მტრის სიმრავლე. ძეგამის მარჯვენა ნაპირზედ ამართულ მთიდამ ცხადად სჩანდა მტვრის კორიანტელი, რომელიც განჯიდამ შამქორს უახლოვდებოდა. ამირ-მირანი ამას მიაწერდა იმ გარემოებას, რომ აბუბექირი დარწმუნებულია თავის ძალაშიო; მაგრამ ვავიღნენ თუ არა ვაკეზე, შამქორიდამ სამის აღაჯის სიშორეზე, ქართველნი მსწრაფლ დაეწყვნენ ჩვეულებრივ საომარ წესით. ნახევარ აღაჯზე მიუახლოვდნენ თუ არა შამქორის კარსა და ხიდსა, პირველი ორი მეომარი მწერივი გაემართა ქალაქისა და მის გარშემო მდებარე ბალებისაკენ, მაშველა ჯარი მეფის მოთავეობით შეჩრდა უკან და თვალ-ყურს ადევნებდა ომის მსვლელობას. მტერს ძალისან გამაგრებული ადგილი ეჭირა, რომლის წინ იყო: ქალაქის ზღუდე, ბალები და თავი ჯარი მტრისა ჯერ ისევ სიარულში იყო და ნაწილ-ნაწილ უახლოვდებოდა ბრძოლის ველს, სადაც იჭერდა ადგილს თავიანთის ლაშქრის მემარცხენედ, როგორც უფრო დაახლოვებულს. ქართველი სპანი ძალიან დაბრკოლდნენ ქვიანი ადგილისა და ბალების გამო, რომელთაც არიეს სპათა წყობა. ამის გამო იგინი ვერ გავიღნენ შამქორის მარჯვენა ნაპირზედ და ცოტა არ იყო უკან დაიხიეს. მაშინ ამირ-სპასალარმა ზაქარიმ, რომელსაც გარშემო საუკეთესო მეომარნი ქართველთა სპათანი ერტყნენ, იშიშვლა ხმალი და ქართველნი მემარჯვენე

ფრთისანი პირველ ორის მწერივისანი ჩვეულებრივ ზახილით*) ხელ-
ახლა მივიღნენ იერიშით. ამ მეორე დაჯახებამ დიდი ძალა იჩინა; ქარ-
თველნი გავიდნენ მდინარეს ქალაქის მარჯვნივ და გაშალეს თუ არა
მარჯვენავე ფრთა ანუ წვერი, რომელსაც შეადგენდნენ ამირ-მირანისა
და შირვან-შავის მხედარნი, განწირულებით აღსავსე ხელ-ჩართულით
ეკვეთნენ მტერს. ამით მთელი თავისი ყურადღება ძალა-უნებურად
მათ მხოლოდ ამ ადგილისთვის მიაპყრობინეს. დავით სოსლანმა შენი-
შნა თუ არა, რომ მისი ამირ-სპასლარი მარჯვედ არის, დასძრა ჯარები,
შემოუარა განჯას მარცხნივ იმავ ბალების მოფარებით, რომელნიც წი-
ნად ქართველთ ჯარს უშლიდნენ გაშლას და პირდაპირ მტერზედ იე-
რიშით მისვლას, გავიდა შამქორს, მოახვევინა თავის მარცხენა ფრთას
და დაპკრა უეცრივ მემარჯვენე ჯარს მტრისას. ან გარემოებამ გადა-
სწყვიტა ბრძოლის საქმე: მოსლენინი შეირყნენ და ლტოლვილ იქმნენ.
ყველაზედ წინ თვით აბუბეკირი მიისწრაფოდა და უკან მისდევდა მდე-
ვარი ქართველთ ცხენოსანთა, და სდია, ვეძრე განჯის კარამდე 4-ხა-
ხევარი ალაჯის სიშორეზე. ხევნი და ხნარცვნი, რომელნიც შამქორს
იქით მრავლად ხვდებოდათ მეოტთა და ლტოლვილთა, უფრო სრული-
ად ლუპავდნენ მათ. ამის გამო ვერა მიჰქონდა რა თან და ყოველივე ძა-
ლა-უნებურად უნდა დაეტოვებინათ გამარჯვებულთათვის: სარჩო, ქვე-
ითი ხალხი, ალამი და თვით ხალიფას დროშა, რომელიც დაიპყრო ერთ-
მა მაშინდელმა საუკეთესო სპასლართაგანმა შალვა ახალციხელმა. ამ
გვარად დატრიალდა ამ ბრძოლის საქმე. ქართველთ გამარჯვების პი-
ზეზი იყო. მათ სპასლართა ვაჟკაცობის გარდა, რასაც მაშინდელ დრო-
ში არა მცირედი მნიშვნელობა ჰქონდა, უმთავრესად მაშველი ჯარის
რიგიანი მოხმარებაცა. ამ გარემოების წყალობით არამც თუ გაასჭრეს
ქართველთ თავიანთი პირველი შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარე-
ობდა, რომ იმოდენა ჯარი 60 ათას კაცამდე შეიჭყლიტა ვიწრო სივრ-
ცეში 1—1 ნახევარ ალაჯის სიგანისაში, სადაც მრევალი ცხენოსანი და
ქვეითი კი არ მობდნენ რიგიანად, უშლიდნენ ერთმანეთს, არამედ კი-
დეც გაიმარჯვეს ასე შესანიშნავად.

ეს ბრძოლა, 1204 წ., შამქორის ომის სახელ-წოდებით ცნობილი, სა-

*) „ქართლის ცხოვრება“, გვ. 306: „აპა ჩვენცა ხელნი ხრმალსა და
სულნი ღმერთსა, და ნუ ვრიდეთ თავთა ჩვენთა“.

ვსე იყო მნიშვნელობით და სასახელოდ მისაჩინევი ქართველთა მეცნიერებების ჯერ არც ერთხელ, ისლამის დაარსებიდამ დაწყობილი, მუსულმანთა ასეთი დამარტება არა სწვევიათ ქრისტიანეთაგან. ხალიფას დროშა, რომელიც თამარმა ხანულისა ღვთის-მშობლის ხატს გელათის მონასტრისას შესწირა. პირველად დაკარგეს მათ შამქრის ომში. ნურას იტყვით იმაზედ, რომ ამ გამარჯვებამ კარგა დიდ-ხანს, მონგოლთ საასპარეზოდ გამოსვლამდე, გააჩუმა აღმოსავლეთის კერძო ხალიფატისა; ამ გამარჯვებას შემდეგ ბევრჯელ მოიგონებდნენ ხოლმე ქებითა და ღიდებითა. ამ ომზე მიუთითებდა ითანე მრისხანე, რადესაც ყაზანის ომის დროს მოაგონა თავის მეომართ გისამხნევებლად ივერიის მეფის ასულის გამარჯვების ამბავი სპარსელებზედ. (იხ. ბროსსეს საქართვ. ისტ.). ხოლო მაშინდელ თანამედროვე მოსლემინობაზე რა გვარი ზედ-მოქმედება იქონია შამქორის ბრძოლამ. მარტო იმ გარმოებიდამ სჩანს, რომ შემდეგ წელს თამარი იძულებული იყო ბაღდადის ხალიფატის მეორე ნახევართან ებრძოლნა — ე. ი. ასურეთის და პალესტინის სულტანთა წინააღმდეგ.

1204 წ. ივინი ამხედრდენ და ალიჭურვნენ მათ შორის ძლიერთ უძლიერების სულტნის ალეპოელი ნუქარდინის წინამდლოლობით. ამ უკანასკნელმა გაუეზავნა თამარს ელჩი და წერილი, რომელშიაც მოიხსენიებდა იმ მიზეზებს. რა მიზეზებისა გამოც იგი საჭიროდ სთვლიდა საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრნა. ნუქარდინის წერილი მოყვანილი საქართველოს მატიანეში. და ვგონებთ სიტყვა-სიტყვითაც, რადგან ისე დაწვრილებით და ნიშანდობლივ არის მოთხოვნილი ამბავი იმის მიღებისა მეფის მიერ. აღწერილი შთაბეჭდილება. რომელიც მან მოახდინა თამარზე და აღშფოთება ამირ-სპასალარის ზაქარიასი და სხვათა ერისთავთა და სპასალართა. რომელნიც თხოულობდენ ელჩის დასჯაა, მისის უმართებულო და ამაყ სიტყვა-პასუხისა და წერილის შინაარსისა გამო. ეს წერილი მეტად ახირებული წერილია და მისი შინაარსი ცხადად ამტკიცებს. რა გვარად იყვნენ თავგასულნი და გაამყებულნი მაშინდელი სელჯუკელი სულტნები, რომელნიც მთელს ქვეყანას თავის საკუთრებად სთვლიდნენ.

„მე ნუქერდინ. სულტანი ყოვლისა ცასა-ქვეშისა, უმაღლესი, მაშსგავნებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართულთასა თამარს. ყოველი დიაცი რეგვენია: შენ გიბრძანებია ქართულთა აღებად ხრმლისა. და ღრუთისაგან საყვარელისა ისლემთა ერისა დახოცად მუსუ-

ლმანთა, და კვალად ნათესავსა ზედა თავის-უფალსა დადებად ხარისხის უმებერი: აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი ხალხსა სპარსთასა და განგრძვართო შენ და ერიცა შენი, არაოდეს აღებად ხრმლისა, რომელი ლმერთსა ჩვენდა უბოძებია: ხოლო ცხოვრებით ივი ოდენ ვაცხოვნო. რომელმან უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყუანის-მცეს წინაშე კარვისა ჩემისა, და აღიაროს ქადაგება მოჰმად მოციქულისა, და უარ-ჰყოს სჯული შენი და ხელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემისა ლეჭად ჯუარისა, რომლისა მამართ დაგიცს ცუდი სასოება: აწ მოელოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვევი სპარსთა“.

წერილის მიღებისათანავე თამარი მხნედ შეუდგა ყოველ გვარ თადარიგს ომისას და ლაშქრობისას გოროზ და თავგასულ ნუქარდინის წინააღმდეგ: გასცა ბრძანება და გაზიანებილ იქმნენ შიკრიკი და მალე-მსრბოლნი ყოველ კუთხეში მისის სამეფოისა, ნიკოფესიიდამ დარუბან-დამდე, რათა ერისთავთ მალიად შეერაღებინათ მოლად ერი და ქვეყანა. თავ-მოსაყრელ ადგილად მან დანიშნა სამცხე და ჯავახეთი და თავისთან მყოფ ჯარებით გასწია იქ. თან მისდევდა უმაღლესი სამლე-დელოება და საუკეთესო სპასალარნი — ზაქარა და იოანე მხარგრძელნი, შალვა და ივანე ახალციხელნი. მეცე დავით სოსლანს უნდა ეტვირთა მთავარი წინამძღოლობა ასი ათასის მეომართაგან შემდგარის და თამარის მიერ გაშლილ დროშას ქვეშ შეკრეპილის ლაშქრისა. ვიდრე ლაშქარი. შეკრძებოდა, თამარი იმყოფებოდა ვარძის მონასტერში (მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს ხერთვისის ხეობაში). რომელიც მტკვრის აყოლებით არდავანამდის ასდევებ), ხოლო ნუქარდინი უდიდესის ლაშქარით, რომელიც შეიცავდა ნახევარ მილიონს მეომარს, მოადგა არზრუმს ანუ კარნუ-ქალაქს. ნუკრედინისა და თამარის შორის ბრძალის ველის მდებარეობა დიალ ცნობილია უკანასკნელ. რუსთ-ოსმალოთ ამისა გამო და ამისათვის მისი აღწერა საჭირო არ არის. რაც შეეხება თამარის ჯარს, რომელიც შეიკრიბა თავისუფლად ახალციხის, ახალ-ქალაქის და არტანისის ციხეებითა დაცული, ივი გაემართა ყარსისაკენ. ამ ქალაქიდამ ოც-და-ათ ვერსზედ თამარი შეუდგა ერთს მაღალ გორაზედ რათა ერთხელ კიდევ ელოცნა და ჯვარი გადაეწერა მის წინ გამომვლელ რაზმთათვის. რომელთ წინამძღოლნი. მასთან დაპირდაპირებისათანავე, ჩამოხდებოდნენ ცხენიდამ ჯვარის სამთხვევლად და მარჯვენისა შიუსა საამბორებლად. ამის შემდევ თამარი დაბრუნდა ოძრახეს (ახლანი) - ლი აბასთუმანის ახლოს) და ჯარმა განაგრძო გზა. ნუქარდინს, ფიქრ-

დაც არ მოსდიოდა, რომ ქართველნი გაბედავდენ დაეტოვებინათ თავისი ანთი მთანი და ხელმანი და გავიდოდნენ იმის პირის-პირ ასე დაახლოვებით არზრუმს და ყარსს შორის. ამისათვის ის არხენად იყო დაბანაკვებული დიდ და ვრცელ ბასიანის მთა ვაკეზე, არზრუმიდამ 7 აღაჯის სიშორით და სრულიად არავითარი თადარიგი არ ჰქონდა დაჭრილი უცარის თავს-დასხმის წინააღმდეგ. როცა ქართველთ წინად-მბრძოლნი იმის ბანაკის სიახლოვეს გამოჩნდენ ზაქარია მხარგრძელის, შალვა და ივანე ახალციხელთ ხელმძღვანელობით, ადვილად წარმოიდგენს ყოველი, რა არევდარევა მოხდა მუსულმანთ შორის. უცარი თავდასხმა սაშიშარია არამც თუ დაუწყობელ ურდოთათვის, არამც სრულიად განწყობილის და ჩვეულებრივის ჯარისათვისაც, რომელსაც ომის დროს დაუბანაკნია, დარაჯნი თავის საქმეს კარგად ასრულებენ, წინადვე მოსაზრებული სიმაგრე უჭირავს. მხედარი ცხენები მზადა ჰყავთ, ერთის სიტყვათ, ყოველგვარი წესი სამხედრო დადგენილობისა დაცულია უცარის თავს დასხმის შესასუსტებლად, მსწრაფლად ბრძოლისათვის ვასამზადებლად. მაშ, თუ მართებულის და სრულიად გამართულის ჯარისათვის საშიშოდ ითვლება უცარი თავდასხმა მტრისა, ნუქარდინას დაუწყობელის და არეულ-დარეულის ბრძოლისათვის ქართველთა წინადმებრძოლ 30-40 ათასის კაცისაგან შემდგარ რაზმთა თავზედ წადგომა უნდა დამლუპველი ყოფილიყო. მართლაც, დაინახეს თუ არა ზაქარია მხარგრძელმა, შალვა და ივანე ახალციხელთ ათი და ათასი გაშვებული ცხენების ჯოგი, უაზროდ აქეთ-იქით მოყიალე ხალხის გროვანი, აყირავებული კარვები და საზოგადოთ ყოველგვარი ნიშნები უწესოებისა მოსლემინთ ურდოში, მაშინათვე შეატყობინეს თავ ჯარსა; ხოლო თვით მალიად გაშალეს რაზმნი, დაეწყენენ საომარს მწკრივად, ააჩქარებინეს ფეხი მეომართ და გადაეშვნენ წინ, შიგ მტრის შუა-გულ, ნუქარდინას სამყოფ კარავისაკენ, რომელზედაც ფრიალობდა დიდი სულტანის დროშა. ამასობაში, დაინახა თუ არა ნუქარდინმა წინ გაშლილი საომარ მწკრივად ქართველთ რაზმები, მაშინათვე დაიწყო ხელ- და-ხელ წყობა და საომრად დგენა სხეაზედ უფრო მომზადებულ მეომართა, ბასიანის მთა-გორის აღმოსავლეთის კალთებზე, რადგან თვითონ დიახ გულადი და მოსწრებული გონების პატრონი იყო. ქართველთ მთელი თავისი ძალა და ღონე დაატანეს ამ ადგილს, რომ სხვა უწესო მუსულმანთ ხროვათ არ შესძლებიყოთ მომზადება და მოწინააღმდეგე რაზმების მოშველება. შენივთოდა გაცხარებული ურთიერთ დაუზოგველი ხელ-ჩა-

როული ბრძოლა; ყველა ქართველ მხედართა უფროსთ ცხენები მოვალეობა; მაშინ მხედართაც დაანებეს თავი და დაქვეითებულებმა და იწყეს ბრძოლა თავიანთ უფროსებთან ერთად. ნუქრედინმა, თუმც თავ განწირული მამაცობა გამოიჩინა და თუმცა მრავალი ჯარი ჰყავდა, ვერ შეარყა ქართველთ წინა-მბრძოლ, მიმსვლელ-მცემელთ რაზმი, რომლის მამაცობას და მედგრობას უფრო ის იმედი აძლიერებდა. რომ ჩქარა მოეშველებოდა თავი და თავი ჯარი. დავით სოსლანმა შეტყობისა-თანავე წინადმებრძოლთ რაზმისავან ბრძოლის ვითარებისა, ასჩარა თავი და თავი ჯარი. ქვეითმა ჯარმა სიარულს მოუმატა, ცხენოსანთ გა-ჰქუსლეს ცხენები. მაგრამ ოლრო-ჩოლრო ადგილი აბრკოლებდა მათ. ბოლოს, როცა ჩავიდნენ ბასიანის მდინარის მთა ვაკეზე, დაუყონებლივ დაეწყვნენ ჩვეულებრივ საომარ წესით, ე. ი. მემარჯვენედ დადგა აბხაზ-იმერეთის ჯარი. ხოლო მემარცხენედ — ჯარი ქართლ-კახეთისა. აღარ მოუცადეს უკან ჩამორჩენილთ და გაეშურენ წინად-მებრძოლ-მიმსვლელ-მცემელთ გამოსახსნელად; შემდეგ გამწარებულის ჩეუბისა, მაკ-მადიანთ ვეღარ გაუძლეს ქართველთა მიერ შეერთებულის ძალით მიტანილს იერიშს და არეულ-დარეულად ლტოლვილ იქმნენ არზრუმის მიმართულებით — ვინც ვერ მოასწრო ცხენზედ შეხტომა, ტყვედ შეიპყრეს. თვით ნუქრედინი კინალამ არ დაიჭირეს და გადარჩა მხოლოდ თავის არაბულის ტაიჭის წყალობით. მაგრამ მისი დროშა, ქონება და ურიცხვი ტყვენი, რომელთა შორის რამდენიმე სელჯუქთა თავადი ერია, ყოველივე ესე დარჩათ გამარჯვებულთ.

ამ ომს ქართველებმა უწოდეს ბოლოსტიკის ომი, უთუოდ რომელ-სამე ბასიანის სიახლვეს მდებარე სოფლის სახელ-წოდების გამო. თუმცა გამარჯვება ქართველთ დარჩო შემთხვევის წყალობით, ე. ი. იმ გარემოების მეოხებით, რომ ქართველნი მტერს ანაზღათ თავს დაესხნენ, მაინც-წინად-მებრძოლთ უფროსთ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი ქცევა და მიხვედრილობა გარემოებათა შესაფერ, სწორედ შესანიშნავი იყო. ცოტა რომ დაეგვიანათ, ან ეყოყმანათ, მანამ თავი და თავი ჯარი მოესწრობოდათ, უეჭველია რომ ნუქრედინი დააწყობდა ჯარს მართებულის წესით და მაშინ ომი შეიძლებოდა ქართველთ სასარგებლოდ არ გათავებულიყო.

შამქორის ომით 1203 წ. და ბოლოსტიკის ბრძოლით 1204 წ. თამარმა დიღის-ხნით დააწყარა აზიის წინა-მხარის მაკმადიანნი, როგორც იმას წინად ჩვენ მოვიხსენიეთ. ამ ბრძოლათა შემდევ სპარსელნი და თურქ-

ნი-სელჯუკი მხოლოდ ქურდულის თავდასხმით აწუხებდნენ ქართველებს. ასურელთ სულტანს, ბოლოსტიკის ომის შემდეგ, აღარა ჰქონდა ლონე და ეშალნა თამარისთვის ყარსის აღება და ტრაპიზონის იმპერიის შედეგენა პავთლაგონიის და პონტის ქალაქებისაგან: სახელად, ტრაპიზიზონისა, სინოპისა და ლიმონისაგან, და სხვ. ეს იმპერია თამარმა მისცა თავის ნათესავს, ალექსის, რომელიც მის სასახლეში იმყოფებოდა და იყო შვილის-შვილი ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკ პირველის. ამ ისტორიულ ფაქტებს მოწმობენ, გარდა საქართველოს მემატიანეთა, მრავალნი თანამედროვე და შემდეგნი მწერალნი საბერძნეთისა და სხვათა ხალხთა.

ასე წარიმართებოდნენ საქმენი საქართველოსანი ვიდრე სიკვდილავდე ამ დიდებულის დედოფლისა (1212 წ.) და, არამკ თუ მის დროს, მის შვილთა პირველ მეფობის დროსაც: გორგი ლაშასი და რუსულანისა, იმ დრომდე, ვიდრე საქართველოს არ მოევლინა ს. ქვეყნო რისხვა — ესე იგა, მონგოლთ შემოსევა.

თ. თათარ ყან დადიშკელიანი

**
**

შემდეგი ნომერი „მხედრის“-ა გამოვა 1933 წლის იანვარში. უურნალი გამოვა რეგულიარულად ყოველ სამ თვეში ერთხელ.

**
**

ომი და გეურეობა

(სამხედრო სოციალიზმი *)

თანამედროვე ომი არის ომი მასიური ჯარებისა საერთო სავალდებულო სამხედრო ბეგარის ნიადაგზე, ტეხნიკურად მაღალ-ხარისხოვანი პასალის თანამონაშილეობით და ამავე დროს ომის მიზნებისათვის ყველა სამეურნეო ძალა მობილიზაციით.

ომის სამეურნეო არსებითი მხარე იმით გამოიხატება, რომ იგი არის ღირებულებათა განადგურება აღამიანისა და მასალის დახარჯვით. —

ომის წარმოება ნიშავს პირველად ყოვლისა ხარჯს, რომელსაც სამეურნეო სამაგიერო შემოსავალი არა აქვს; ღირებულებათა განადვურების პროცესი არის უეკვივალენტო. თავში არ ატარებს იგი სამეურნეო მიზანს. აქედან გამომდინარეობენ მნიშვნელოვანი სამეურნეო მოვლენანი: —

ომში ხალხის გაწვევით მცირდება მუშა-ხელი, სამეურნეო თადარიკი იხსრულება სწრაფად, და ხდება კაპიტალის მოვროვება დასახარჯავად. ამგვარად, ომის წარმოება სამეურნეო სიძლიერეს ემყარება.

ომი პირველად ყოვლისა გავლენას ახდენს მეურნეობის კონსტიტუციაზე. თანამედროვე მეურნეობის საფუძველი არის კერძო საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება, პირადი ვანკარგულების უფლება კაპიტალისა და შრომის განაღდებისათვის თავისუფალ ხელშეკრულებათა საშუალებით. სამეურნეო მოქმედებათა მიმართვა კერძო ინტერესების, რაციონალიზაციის, და დიდი მოვების მისაღწევად ძანჭანური მასიური წარმოების შედეგით დიდ საწარმოში.

*) დაწვრილებათ იხილეთ:

Goetz Briefs: Kriegswirtschafts!ehre und Kriegsvirtschaftspolitik.

H. Held: Wirtschaftsblocade. in dem HdWort. d. Staatswissenschaften. Iena, 1928.

თანამედროვე სახელმწიფო ომისათვის სამეურნეო თადარიგის არ აღმოჩენა თეს და ომი დაწყებისათვავე თავის მასიურ მოთხოვნილებათა და— საქმაყოფილებლად კერძო პირების მარაგთა საწყობებს მიმართავს. ეს მარაგი მას შეუძლია შეიძინოს შესყიდვით, ესე იგი კერძო საკუთრების და თავისუფალი ხელშეკრულების საფუძველზე, ან წარმევით და რეკვიზიციით. სახელმწიფოს შეუძლია აგრეთვე შემოილოს საერთო სამუშაო ბეგარა; მასვე შეუძლია მთელი წარმოებისა და განაწილების პროცესი სამეურნეო ცხოვრებაში იძულებით მოაწესრიგოს. არის შემოხვევა, როდესაც საქონელის მოპოვება მიზანს არ აღწევს, შეუძლებელი ხდება და მაშინ სახელმწიფო მიმართავს ისეთ ზომას, რომელიც კერძო უფლებას სპობს. მაგალითად: ინგლისი აიძულებს კერძო მესაკუთრებს მიაქირაონ სახელმწიფოს გემები, ხელს ადებს სამხედრო წარმოების ქარხნებს და სხ. გერმანია რეკვიზიციას უხდებს ჭირნახულს და ლითონს. ასეთივე ზომა შეეხება კაპიტალსა და შრომასაც. წარმოების ზოგი დარგი უნდა გაფართოვდეს. ზოგი შემცირდეს, იმის მიხედვით, თუ ომი რას მოითხოვს, — სახელმწიფო აქაც იძულებით ზომებს მიმართებს და ჰკვეცავს ან სპობს თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის არსებით მხარეს — კერძო მეურნეულ განკარგულებას და ხელშეკრულებათა თავისუფლებას. იგივე ეხება ფასების საკითხსაც. — სახელმწიფო აწესებს ფასებს საქონელზე. მაგრამ ყველა ეს ზომა დროებითა, ომის მაზნებისათვის გამოსაყენებელი, — და მსოფლიო ომის შემდეგ, კაპიტალისტური მეურნეობა სახელმწიფოს ხელისაგან თავისუფლდება, თუმცა ზოგ დარგში მას დაღი მაინც ემჩნევა (მაგალითად, ომის დროის პაწარმო კონცენტრაცია თითქმის ყოველგან დარჩა).

ომის პანიკა იწვევს თანამედროვე მეურნეობის პროცესში — საქონლის წარმოება. ტრიალი და მოხმარება — დიდ არევ-დარევის პირველ ყოვლისა ირყევა ან ისპობა ნდობა, წარმოება ემწყვდევა ჩიხში. ზოგ ბაზარზე ტრიალი ფუჭდება. ზოგზე პანიკურად ხდება. ბაჯაღლო ფული და განსაზღვრული საქონელი დიდ მოთხოვნილებაშია. ბაჯაღლო ფულზე მოთხოვნილება იწვევს ფასების დაცემას იმ ბაზარზე, სადაც საომარი პანიკა მეფობს. პირველ საჭიროების საქონელზე მოთხოვნილება იწვევს საშინლად ფასების აწევას, რასაც თავის თავად წარმოების გაზრდა არა აქვს შედეგად, რადგან ომის პანიკის დროს მწარმოებელს ურჩევნია საქონელი თავიდან მოიცილოს. ეს არის კრიტიკული მომნტი. რომლის გადაღახვა შესაძლებელია ფართოდ საკრედიტო დაწე-

სებულებათა გახსნით. ოფორც კი ეს დაწესებულებანი მუშაობას და-
წყებენ. ცხოვრება ნელიად კალაპოტში შედის.

შეძეგ იწყება ახალი ხანა: — მეურნეობის მოწყობა ომისათვის. თა-
ნამედროვე ომი საყოველთაო ბეგარის ნიადაგზეა, იგი არის ომი მალ-
ლად განვითარებული ტეხნიკური შეიარაღებით. სახელმწიფო იმსახუ-
რებს მეურნეობას ომის წარმოების საშუალებას; ხმარობს
მას თავისი საკუთარი ძალის გასაზრდელად, მტრის დასაუძლებლებლად;
კერძო მეურნული მიზნები წარმოებაში და მომხმარებლობაში ემორ-
ჩილება მეომარი სახელმწიფოს მიზნებს; მეომარს კი აქვს კაპიტალის
დიდი საჭიროება და საქმის მარაგთა დიდი მოთხოვნილება.

საჭიროებათა თავისუფალი მოძრაობა და მათი დაკმაყოფილება არ-
სებული შემოსავალის მიერ წარმოდგენილი მსყიდველობითი ძალით —
წესია ჩვეულებრივ ვითარებაში, ნორმალურ დროს. მსყიდველობითი
ძალა ეხება განსაზღვრულ დამოკიდებულებას წარმოებასა და მომხმა-
რებლობას (პროდუქცია და კონსუმცია) შორის; ნორმალურ მეურნეო-
ბაში მას აქვს ტენდენცია წონასწორობის მდგომარეობისაკენ. ომი არ-
ღვევს ამ ჩვეულებრივ მოვლენას, ვინაიდან ჯარის მმართველობა არ-
დგენს დიდ სასწრაფო მოთხოვნილებას. ბაზარზე იგი იქრება ნაწილო-
ბრივ რეკვიზიტიებით, ნაწილობრივ ჩვეულებრივი წესით (ყიდვით) და
ამგვარად, არსებულ საქმის თაღარიგს ამცირებს და აიწროებს. ჯა-
რის მშეართველობის მთელ ამ მოთხოვნილებას არევდარევა არ შეაქვნ;
მოთხოვნილებათა ერთი ნაწილი ჯარში გაწვეულ ხალხისათვის მხო-
ლოდ ერთად ჯგუფდება. — აქმდე ეს მოთხოვნილება გაფანტული იყო
(ჭამა-სმა, ტანთსაცმელი და სხვა); სამხედრო მასალაზე მოთხოვნილე-
ბას კი დიდი არევდარევა შეაქვს ეკონომიური წონასწორობის მდგო-
მარეობაში; ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების სისწრაფე იწვევს წარ-
მოების გადაკეთებას და მოქალაქის საჭიროებათა დაკმაყოფილების მე-
ცირებას. წარმოება. შემდგარი ახალ სამხედრო, გზაზე, მიღის უკან,
მოქალაქის მომხმარებლობაც. მხოლოდ სამხედრო მოთხოვნილება იზრ-
დება. გაგრამ ეს უკანასკნელი თავისი ეკონომიური ხასიათით არის მხო-
ლოდ მომხმარებლობა, უეკვივალენტოდ ლირებულებათა მოსპობა.

მეომარი სახელმწიფო მოითხოვს იარაღს. სამხედრო მასალას და ჯა-
რის გამოკვებას; მოქალაქური მოთხოვნილება შესდგება გამოკვებისა-
გან. წარმოების შესვლა სამხედრო გზაზე და მისი სწრაფი სვლა დამო-
კიდებულია ქვეყნის განვითარებისაგან და ომის სიძლიერე და გავრქე-

ლებისაგან. სამხედრო მოწყობაზე ადვილად გადადის ის წარმოება, რა მელსაც საქმე ჰქონდა რკინასა და ქიმიურ მრეწველობასთან, სხვა წარმოებაში ეს გადასვლა ძნელდება. თუმცა ისეთ ქვეყანაში, სადაც წარმოება დიდათ განვითარებულია დ ჰყავს გაწრთვნილი მუშათა კადრი, (მაგ. გერმანია), ესეც უადვილდებათ. თუ რა საქონელი უნდა დამზადდეს, რამდენი და როგორი — ეს გადაწყვეტილება სახელმწიფოს ხელშია და მართავს მას იგი ომის მიხედვით; ხდება წარმოების კონცენტრაცია და კომბინაცია. თუ რამდენად გაუძლებს სახელმწიფო სამხედრო ხარჯებს, დამოკიდებულია მუშათა ხელის, ნედლი მასალის და კაპიტალის ოდენობაზე. რომელიც მეომარ სახელმწიფოს შეუძლია მოხმაროს.

ომის დაწყებისას საქონლის ტრიალი მცირდება; ძველი საგარეო გზები იკეტება. შინაური გზები მოკლდება და ცირკულიაცია (საქონლის ტრიალი) მისდევს სამხედრო მოთხოვნილებას. სახელმწიფო კი ამ ძოთხოვნილებას ფარავს, მის ხარჯებს ისტუმრებს საკადასახადო პოლიტიკით. ქალალდის ფულის ბეჭდვით და სესხით.

როდესაც სახელმწიფო თავის სამხედრო ხარჯებს საგადასახადო წყაროებით ფარავს, ამ გზით იგი იძულებით მობილიზაციას უხდებს: მემოსავალისა და ქმნების ნაწილს. ამ გვარად, ხდება ქმნების გადაჯგუფება, ნომინალური ქმნების დაგროვება სამხედრო მასალათა მწარმებლების ხელში. ამით მცირდება მსყიდველობითი ძალა არა-სამხედრო ინდუსტრიებისა, აგრეთვე კაპიტალის დაგროვება (კუმულაცია.).

ომის წარმოება ქალალდის ფულის ბეჭდვის საშუალებით იგივე ხასიათისაა როგორც ომისათვის ფინანსების მიცემა სესხის სახით, მაგრამ მათი ეკონომიური გავლენა სხვა და სხვაა. ქალალდის ფულის ბეჭდვით იქმნება აბსტრაქტული მსყიდველობითი ძალა. მისი საშუალებით უახლოეს მობილიზაციას უშვერება თადარიგის საწყობებს და იქრება სახალხო მეურნეობის სუბსტანციაში. საქონლის თადარიგი და კაპიტალი მცირდება, ფულის ნიშები მრავლდება, — შედეგი არის ინფლაცია: სამხედრო მრეწველობა იქმნება. ხდება ნომინალური მსყიდველობითი ძალის ბურჯად და დამაგროვებლად. — აქედან ფართოვდება და იხმდება სრდვირები. გალარიბების პროცესი ხდება მაღალი კონიუნქტურის სახით და ნომინალურ მოგებათა მოპირისთავება. გავსება იწყება. ფასები იწევს მაღლა. ვალიუტა ეცემა დაბლა, გამსესხებელნი და მტკიცი შემოსავალის პირები ზარალდებიან, მოვალეებს მდგომარეობა უმსუ-

ბუქედებათ. იწყება საქონლისა და უცხო ვალიუტის შეძენა, თუ შემადგროვებელი კაპიტალის საზღვარგარედ გაჭერა და დაბალ ფასებში საქონლის გაზიდვა.

სესხის სახით ომის წარმოებისათვის ფინანსების მიწოდება ვალად ედება მომავალ თაობებს. სამხედრო სესხი ამცირებს ყველა იმ წარმოების სამომხმარებლო ფონდა (კონსუმციის ფონდს) და დაგროვების ფონდს (აკუმულაცია). რომელიც სამხედრო მრეწველობას არ ეკუთვნის. სამხედრო ინდუსტრიაში თავს იყრის ფულებრივი კაპიტალი და სახელმწიფო სესხისათვის მას მიმართავს..

ომი პირველად ყოვლისა ხვდება სახელმწიფო ფინანსებს და იგი იძულებულია ეს საკითხი სათანადოთ მოაგვაროს. ფულის მოპოება და კრედიტის შექმნა, — მთელი ფინანსიური სისტემის გამომუშავება და სათანადოთ მისი წარმოება — დიდი საქმეა მეომარ სახელმწიფოსათვის. ფინანსიური მობილიზაცია — ესაა მთავარი გადასაჭრელი და შესასრულებელი საკითხი.

ომის დაწყებისათანავე საზოგადოება მირბის ბანკებისაკენ, რათა იქიდან თავისი ფული გამოიტანს და გადაარჩინოს. გერმანიის სახელმწიფო ბანკმა თავისი ფინანსიური მობილიზაცია იმით დაიწყო. რომ 1914 წლის ივლისის დამლევს დაკეტა სალარო და ოქროს გაცემა შეაჩერა. 2 აგვისტოს ამავე ბანკმა მიიღო გერმანიის მთავრობის მიერ ომის საკიროებისათვის დავროვილი თანხები. აგვისტოს 4-ს გერმანიის სახელმწიფო ბანკმა ანუ რაიხსბანკმა შეიმუშავა მიმისათვის თავისი ფინანსიური პოლიტიკა. აღკრძალულ იქმნა ქალალდის ფულის განაღდება ოქროზე. სახელმწიფო კასის ნიშნები და ბანკნოტები გახდა კანონიერი გადასახდელი საშუალება და კერძო ბანკებს მიეცათ უფლება მათი ნიტები რაიხსბანკის ნოტებზე გაეცვალათ. ამგვარად, რაიხსბანკის ნიტებმა მიიღეს „იძულებითი“ კურსი. შექმნეს განსაკუთრებული გამსესხებელი კასები. რომელსაც დანიშნულება პქონდა ვაჭრობა-მრეწველობისათვის კრედიტი მიეცა. ამ კასამ გამოსცა გამსესხს. კასათა ფულის ნიშნები, რომელსაც ყველა საჯარო კასაში სრული ფასით ღებულობდენ, — მათი მიღება იძულებითი არ იყო. (1918 წლამდე გამოცემული იყო 91.7 მილიარდი მარკის ნიშნები).

გამსესხებელი კასების კრედიტის საფუძველი იყო ფასიანი ქალალდება და საქონელი; სარგებელი იმ კრედიტზე უფრო მაღალი იყო ვინერ რაიხსბანკიში. ეს საკრედიტო დაწესებულება იძლეოდა რაღური კრედიტს;

მაგრამ ამას გარდა დასაკმაყოფილებელი იყო პერსინალური კრედიტის პერსინალური მიზნისათვის დაწესებულ იქმნა ომის კრედიტის ბანკი და პამბურგის ბანკი 1914 წ. და სხვა. ამ ბანკებს კაპიტალი მისცეს — ნაწილი ცალკე სახელმწიფოებმა, ნაწილი ერობებმა და ქალაქებმა, ნაწილი — სავჭრო და სახელოსნო კორპორაციებმა, სოფლის მუშრნეობამ, ბანკებმა, საწარმოო დაწესებულებმა და ნაწილი — კერძო პირებმა. ამ საკრედიტო ბანკებს კრედიტი გაუხსნა რაიხსბანკმა ოთხჯერ მეტი თანხით, რომდენიც თვით მათ გააჩნდათ. ამგვარივე ჯასები დაარსებულ იქმნა ქალაქების მიერაც. ამგვარად მიღებული იყო ყოველი ზომა, რომ ფულის ტრიალი ნორმალური შექმნილიყო და კრედიტს თავისუფლად ემუშავა. სახელმწიფოებს უფლება მიუცათ გამოცხადებით მორატორიუმი (ვალის გადახდის გადადება).

ომის გამოცხადების წინ რაიხსბანკის ოქროს თაღარიგი უდრიდა — 1356,8 მილიონ მარკას; პანიკის დროს გატანილ იქმნა მილიონ მარკა ოქროზე მეტი; მერმე აკრძალულ იქმნა ოქროს გაჯერა. ომის ოქროს ფონდის რაიხსბანკზე გადაცემით მისი თაღარიგი გაიზარდა 1477,5 მილიონით, მაგრამ პირველ ექვს დღეში ჯარის მოთხოვნილებაზე დაიხარჯა 750 მილიონი მარკა და 14 დღის განმავლობაში რაიხსბანკმა გამოსცა 2006,3 მილ. ქალალდის ფული. ხურდა ფულის ტრიალის შემცირებამ აიძულა ქალაქები და ერობები მცირე ხურდა ფული გამოეცათ. 24 ივნისადან 31 ოკტომბრამდე მარტი რაიხსბანკმა გამოსცა ერთ და ორ-მარკიანი ქალალდის ფული 683 მილიონი მარკის.

ომის ხარჯების დასაფარავად სახელმწიფომ აილო შინაური სესხი იჯერ — 89 მილიარდი მარკის. საერთოდ სახელმწიფოს საომარი ფინანსური პოლიტიკა იხატება შემდეგნაირად: — 1) სახელმწიფო თანდათანობით ხდება უმნიშვნელოვანეს დამკვეთად, მომხმარებლად და კრედიტის ამლებად. 2) იგი პქმნის თავის საშუალებებს პირველად ყოვლისა სახაზინო თამასუქების დისკონტით; იგი იძლევა ამ საშუალებებს ყოველგვარი ფულის. ბონების და კირო-ფულის სახით. 3) ეს საშუალებები ამჟავებს წარმოებას, მობილიზაციას უშვრება სამეურნეო თაღარიგებს და მათ ადგილზე სტოკებს გამრავლებულ ნომინალურ მსყიდვებითი ძალის; 4. ამ უკანასკნელის დიდი ნაწილი უკანვე ეძლევა სახელმწიფოს — სესხით, ნაწილი რჩება მეურნეობაში. 5) სახელმწიფო ნბარობს მას ახალი დაკვეთებისათვის და ქმნის ახალ მსყიდველობით

ძალის და სამეურნეო დოკუმენტთა მობილიზაციას თავის „არაპროდუქტული“ მოხმარების მიზნებისათვის.

გერმანიის სახელმწიფომ შექმნა ქაღალდის ფულის გამოშვებით (სახაზინო თამასუქების დისკონტით) მაგარ მსყიდველობითი ძალა. ამ არალი მსყიდველობითი ძალის გავლენა სამეურნეო ცხოვრებაზე გამოიხატა ფასების საშუალებით.

თუ მსყიდველობითი ძალის გაზრდას თანა სდევს საქონელის ოეალური ოდენობის ზღაპა; თუ ამასთან, თუ ეს ახალი ძალა დაუტრუნდებოდა სახელმწიფოს სესხისა და გადასახადის პოლიტიკით, მაშინ ძველი ფასების ასეუბობას საფრთხე არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ სინამდვილეში, ახლად შექმნილ მსყიდველობითი ძალის გაზრდას არ შეეფერებოდა ბაზარზე გამოშვებული საქონლის ღირებულების გაზრდა და არც სესხითა და გადასახადებით იქმნა ამოწურული ქაღალდის ფულის ზღვა. აქედან გამომდინარეობს სიძვირე.

ჩვეულებრივად, ორი გზით ხდება საჭირო საქონელთა ოდენობის შექმნა: — შინაური წარმოებით და შემოზიდვით. ვინაიდან ომის გამო საერთაშორისო გზები დაიკეტა, გერმანია ჩავარდა, ნედლი მასალის მხრივ მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში*).

შინაური მეურნეობა კი მობილიზაციით, კაპიტალის არა-საკმაოდ განახლებით და პროდუქტიული კაპიტალის მოუცველობით შესუსტდა. მაშასადამე, წარმოება ველარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, ფული მეტი იყო ვინემ საქონელი, — და დაიწყო ფასების აწევა, საერთო სიძვირე. ფასების მოსაწესრიგებლად სახელმწიფო გადავიდა ფასების პოლიტიკაზე და დაწესა მტკიცე ფასები. ეს მტკიცე ფასი თვითნებურად კი არ წესდებოდა სახელმწიფოს მიერ. არამედ მხედველობაში მიღებული იყო საქონლის არსებული თაღარიგი და მასზემოთხოვნილება და ამით ბრძოლა გაუწია სპეციულიაციას და ზოგიერთი საქონელის მონაპოლურ მდგომარეობას. ვინაიდან მტკიცე ფასები პირველად ადგილობრივი (ლოკალური და რეგიონალური) იყო, ამიტომ საქონელი ერ-

*) გერმანიის ხალხს დღესაც კარგად ახსოვს ის საშინელი გაჭირება, რომელიც მას ომის დროს თავზე დაატყდა. ამით აიხსნება ეხლანდელი თითქმის მძლავრი მიმართულება გერმანიაში. რომელიც ქაღაღობს — თვითდაკმაყოფილების (ავტორკიული ეკონომიკის) შექმნას გერმანიაში.

თი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა და სპეცულაცია ფრთასა შლილი ამ მიზეზის გამო ადგილობრივად ფასების დაწესების პოლიტიკა დამა- რცხდა და შემდევ დაარსებულ იქმნა სახელმწიფო ცენტრალური ოპ- განო ფასების დაწესებისათვის.

მთვარი საზრუნვავი საგანი გერმანიისათვის ომის დროს იყო საკვება. ჯარისა და ხალხის გამოსაკვებად გერმანიას არა ჰყოფნიდა საკუთარი მარავა. ამ საკითხის მოსაგვარებლად 1914 წლის ნოემბერში დაარსებულ იქმნა სამხედრო ჭირნახულის საზოგადოება. რომელმაც ვერავითარი საშუალებით ვერ შესძლო სამ მილიონი ტონი ხორბალის შეძენა, რომ წლის ბოლომდე თავი გაეტანათ. არ უშველა არც რეკვიზიციის უფლე- ბამ. არც მტკიცე ფასებმა, არც მომჭირნეობამ და სხვა ზომამ არ გასჭ- რა. შემდევ სახელმწიფო გადავიდა ხორბალის იძულებით მეურნეობა- ზე. 1915 წ. დაარსეს ფასების გამსინჯი ორგანოები, რომლითაც მოფე- ნილი იყო მთელი გერმანია. (ამ ორგანოთა რიცხვი უდრიდა 1000-ს). ეს ორგანოები თავს იყრიდენ ერთ ცენტრალურ დაწესებულებაში, რო- მელიც ყველაფერს განაგებდა. ამგვარად დაიწყო დაგეგმილი მეურ- ნეობის ხანა: — გამოკვების დაგეგმვა და ფასების მოწესრიგება ცენ- ტრალურად. მას შემდევ რაც დაარსდა ცენტრალურად მოწყობილი გე- გმიანი მეურნეობა კვებისა. ამით შემცირდა მტკიცე ფასების დამწესე- ბელი ცენტრალური ორგანოს მნიშვნელობა; ამასთანავე გაძლიერდა მალული ვაჭრობა, მაღალ ფასებში სანოვაგის ჩუმად შესყიდვა .რასაც კანონი სასტიკად ებრძოდა.

გერმანიაში ომადე თითოულ მცხოვრებზე იხარჯებოდა 320 გრამი ფქვილი ყოველდღიურად, 1050 გრამი ხორცი ყოველკვირეულად და 56 გრამი ქონეულობა ყოველდღიურად; ომის დროს — 160 გრამი ფქვი- ლი (ნარევი სხვადასხვანაირად, არა-ნაყოფიერი საკვებით), 135 გრამი ჭლეხორცი ძელებიანად, 7 გრამი კარაქი და მარგარინი. 1912 წელში გერმანიაში შეზიდეს 169.110 ტონა რძის ნაწარმოები, 1917 წ. კი მხო- ლოდ 40.181 ტ. და საკვების ყველა დარგში დაახლოვებით ასეთი სიმ- ცირეა. ოილენბურგის გამოანგარიშებით, გერმანიის მცხოვრებთა 20 პროცენტის კვება (13 და ნახევარი მილიონი) ომადე დამოკიდებული იყო უცხოეთიდან შემოზიდვაზე და ომის დროს ხომ შესწყდა თითქმის ეს შემოზიდვა, შემცირდა ნიაღავის დამუშავება ჯარში გაწვევათა და სხვა მიზეზთა გამო.

მრეწველობის დარგშიაც, იქ, სადაც ქარხანა დამოკიდებული იყო

შემოზიდულ მასალაზე, დიდი გაჭირვება შეიქმნა. დაიწყო საერთო წარმოების დაწევა: მოაკლდა მას მუშა-ხელი, შემცირდა ნედლი მასალა, შესწყდა თითქმის ამ მასალათა უცხოეთიდან შემოზიდვა, ადგილობრივი მასალა ცუდი და მანქანები გაცვეთილი! ეკონომიური ბლოკადის გამო გერმანიის მეურნეობა იძულებული გახდა თავის თავს დაყრდნობიდა .

სამეურნეო ალყა ანუ ეკონომიური ბლოკადა არია იმ საშუალებათა და ზომათა სისტემა, რომელსაც მიზნად უსახავენ რომელიმე ქვეყნის ან რამდენიმე ქვეყნის მეურნეობა მოსწყვიტონ მსოფლიო მეურნეობას და ამგვარად განმარტოებას მისცენ, იზოლიაციაში ჩაავდონ. ეს სამეურნეო ომი სამგვარია: 1. სამეურნეო ომი ვიწრო მნიშვნელობით ანუ სავაჭრო ომი — ესაა ბრძოლა ქვეყნებს შორის სამეურნეო საშუალებებით სამეურნეო მიზნებისათვის (მაგ. აკრძალვა საქონლის შემოზიდვისა). 2. სამეურნეო ომი ფართო მნიშვნელობით — ბრძოლა სამხედრო და სხვა საშუალებით სამეურნეო მიზნებისათვის (მაგ. საზღვაო მიმოსვლისა და საზღვაო ვაჭრობის აკრძალვა სამხედრო გემების გამოსვლით საზღვაო სავაჭრო გზებზე). 3. აკცესორული სამეურნეო ომი — ბრძოლა სამეურნეო საშუალებებით სამხედრო და პოლიტიკური მიზნებისათვის (მაგ. კაჭრობისა და მიმოსვლის მოსპობა, ალყა შემორტყმულ ქვეყნებთან ოშიში მათი დამარცხების მიზნით). სამხედრო პირობებში ყველა ამ ზომას მიმართავენ ხოლმე.

თავის თავიდ ომის დაწყება არღვევს და ჰელეჯს მსოფლიო ეკონომიურ კავშირს, მაგრამ სამეურნეო ომის გამოცხადება საფსებით ასრულებს და შლის მსოფლიო ეკონომიკას. მსოფლიო ომის დაწყებისას, უკვე აგვისტოს 5-ს. 1914 წ. ინგლისმა აკრძალა ვაჭრობა მტერთან და 1916 წ. თებერვლის 21-ს აკრძალა ვაჭრობა აგრეთვე იმ სავაჭრო სახლებთან, რომელნიც მტერთან (გერმანიისთან და სხვ.) დამოკიდებულებაში იყვენ. მაშასაღამე აკრძალული იყო აგრეთვე იმ ნეიტრალური ქვეყნების იმ სავაჭრო სახლებთან დამოკიდებულება, რომელნიც ინგლისის მტერთან ვაჭრობდენ. აკრძალული იქმნა ყოველგვარი მიმოსვლა. ცნობათა გაცვლა (გადაჭრეს კაბელი), და ფლოტი კონტროლობდა ამ ალყას: დაიწყო სასტიკი ბრძოლა კონტრაბანდის წინააღმდეგ და მიმოსვლის გზებზე ჩაწყობილ იქმნა მინები. რასაკვირველია, გერმანიაც ასე იქცეოდა. ამას თან დაერთო ძველი ვალების გადაუხდელობა, მეომარი ქვეყნების მიერ მათ სახელმწიფოში არსებული ქონების სექვესტრი და მერქე

ქონების ლიკვიდაცია (21.1.1916 წ.). ინგლისს გერმანიამ უპასუხა ამავე ზომით (31.7.1916 წ.).

მსოფლიო ბაზარს მოწყვეტა, მეომარ სახელმწიფოს უკარნახებდა თავისი მოთხოვნილებანი უმთავრესად საკუთარი საშუალებით დაეკმაყოფილებია ან გამოენახა ისეთი გზა, რომლის მეოხებით დანაკლისს შეივსებდა და უსაჭიროეს საგნებს და მასალას სხვაგან შეიძენდა ;მოკლედ რო ვსთვათ, ქვეყნის მეურნეობა შიმშილისაგან უნდა გადაერჩინათ. — აქ ეყრება საფუძველი ომის იმ სამეურნეო (ეკონომიკურ) პოლიტიკას, რომელსაც პირველად მიმართა გერმანიამ და რაც დანარჩენი ქვეყნა-სათვის სამაგალითო, სანიმუშო და მისაბაძი შეიქმნა.

ეს იყო მოპოების ანუ შოვნის პოლიტიკა.

სამეურნეო ალყის დროს მთავარი მიზანი იყო შემცირებული შემოზიდვის გაზრდა. პირველად ამ მიზნით მუშაობდენ კერძო პირები, რომელნიც ნეიტრალურ სახელმწიფოთა ბაზრებზე, ფასების დაუხედავად, გერმანიის საჭირო საქონელს ყიდულობდენ. რამდენათაც გერმანიას სამაგირო საქონელი ვერ გაჰქონდა და კრედიტი კიდევ შეუძლებელი იყო, ასეთი შესყიდვა გერმანულ ფულზე, რასაკირველია. მეტად ცუდათ მოქმედებდა, მას ძირსა სწევდა და ფასს უკარგავდა-მაგრამ თავიდანვე, ბალლინის რჩევით. დაწესებულ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საკუთარი შემსყიდველი ორგანიზაცია. ამასთანავე დაარსებულ იქმნა სამხედრო სამინისტროში, უცხოეთის ბაზარზე მომუშავე და შემსყიდველი ორგანიზაციები, და ვინაიდან ერობებსაც გაუჩნდათ ამგვარივე ორგანიზაციები. ყველა ეს, უცხოეთში, ურთმანეთს ექიმპებოდენ და ამიტომ 1915 წელს, იანვარში შექმნეს ცენტრალური შემსყიდველი საზოგადოება (უცხოეთისა და გერმანიის ბაზარზე). ეს იყო ვაჭრული საზოგადოება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა გერმანიის სახელმწიფო, მისი შემადგენელი სახელმწიფონი და რამდენიმე დიდი სავაჭრო სახლები. ეს იყო სახელმწიფოს სავაჭრო ორგანო სახელმწიფოს მცურნეობის ამოცანების შესასრულებლად საკვების ასპარეზზე. ეს ორგანიზაცია (რომელსაც შემოკლებით ერქვა ცეგ), მუძაობდა არა მოგებისათვის, მაგრამ მისი საქმის წარმოება იყო ვაჭრული. მაინც თუ კი მოვება რჩებოდა, იგი გადადიოდა სახელმწიფოს ხელში. როდესაც გერმანიაში დაარსდა სამხედრო კვების ორგანო, რომელსაც ჩაბარდა ხალხის გამოკვების საკითხი შინაური მეურნეობის შემწეობით ცეგის მოელი მოქმედება გადავიდა უცხოეთის ბაზარზე.

ნეიტრალურ ბაზრებზე გერმანიისათვის მდგომარეობა მეტად დაშემცირდა
მდა, ნაწილობრივ, ანტანტის მიერ მიღებული ზომების გამო, ნაწილობრივ,
საერთაშორისო მასშტაბით საქონლის ოდენობის შემცირების გა-
მო და სხვა ონკურენტების წყალობითაც. ნელ-ნელ ცეგ-ი გადაიკა-
შემომზიდველ მონოპოლურ დაწესებულებად. ამ მიზნით მან შეისყიდა
უცხოეთის სავაჭრო საზოგადოებანი, მოაწყო საკუთარი გადამზიდი
მატარებლები, ფლოტილია დუნაიზე, უზარმაზარი საწყობები და სხვა.
იმ საქონელთა რიცხვი, რომელიც მან მონოპოლურად ხელში აიღო თან-
დათან იზრდებოდა. შემომზიდული საქონელი გადადიოდა სამხედრო
კვების დაწესებულებათა პარატში, რომელიც შემდეგ ამ საქონელს
ანაწილებდა.

1917 წელში, უცულის კურსის დაცვის მიზნით, ცეგ-ი გადავიდა ახალ
მეთოდზე: იგი სცვლიდა გერმანულ საქონელს უცხოეთის საქონელზე,
და ამგვარად, განამტკიცა საქონლის გაცვლითი სისტემა. ამის მიუხედა
ვად, ბლოკადის გამო, საერთო შემომზიდვა მაინც მეტად მცირე იყო:
მაგალითად: 1914 წ. გერმანიას შემოპქონდა 189.000 ტონი ყავა და
52.000 ტონი კაკაო, — 1917 წ. კი მან შეიძლო შემოეტანა მხოლოდ
13.000 ტონი ყავა და 12.000 ტონი კაკაო.

რაც შეეხება სამრეწველო მასალას, გარდა იმისა, რასაც გერმანია
შოულობდა ომის შედეგად დაკავებულ მხარეებში (ლოტარინგიაში —
რეინა, ბელგია-ჩრდილო-საფრანგეთში — ქვანახშირი), მდგომარეობა
მეტად რთული და მძიმე იყო: ბამბა, მატყლი და ტრაპიკული მასალები
მას დიდათ აკლდა; აგრეთვე სამხედრო ინდუსტრიის მნიშვნელოვანი
მასალებიც.

უცხო საქონელის სიმცირის გამო, გერმანიის საწარმოო პოლიტიკა:
(პროდუკციონსპოლიტიკა) დაწვა შიხაური მეურნეობას. სასოფლო მე-
ურნეობის შედეგი მეტად ცუდი იყო, როგორც ტაროსის გამო, ისე აუ-
შა-ხელის ნაკლებობისა სათესი მასალის. და სასუქის დაკლების გამო
მართალია, ახალგაზრდობა და ქალები, აგრეთვე ტყვე ჯარისკაცები:
გაიყვანეს სამუშაოდ, მაგრამ ეს დამაკმაყოფილებელი არ გახდა.

ოთხფეხი საქონლის რიცხვი შემცირდა საერთოდ დაკერძოდ უცხო
ეთიდან საკვები მასალის მიუღებლობის გამო.

ომის დაწყებისას მიჰყვეს ხელი ოხერი მიწისა და ჭაობების დამუშა-
ვებას, მაგრამ ეს, ტეხნიკური მიზეზების გამო, უნაყოფო შეიქმნა და ისევ
კულტურულ მიწას მიმართეს. სასოფლო-სამეურნეო და სხვა და სხვა

კონტერატიული საზოგადოებანი, ერობანი და თვითმართველობის უფლება ხმარობდენ სოფლის მეურნეობა ფეხზე დაეყენებიათ, მოწყესრიგებიათ და მაღალი ფასების დაწესებით წარმოება განვითარებიათ.

ასეთსავე პოლიტიკას მისდევდენ მრეწველობის დარგშიც.

მაგრამ მრეწველობის დაცემამ, შემოზიდვის სიმკრემ და ფასების განმტკიცების პოლიტიკის ნაკლმა გამოიწვია ცენტრალური გეგმიანი (დაგეგმილი, გაპლანული) მეურნეობა.

ჯერ კიდევ ომის დაწყებისათანავე, ზოგი საქონლისათვის, ინდუსტრიასთან დაკავშირებით, სამხედრო სამინისტროს მხრიდან შექმნეს ორგანო, რომლის ხელშიც იყო საქონლის წარმოება და განაწილება. თანდათანობით ამ ზომას დაემორჩილა სხვა და სხვა საწარმოო. რომელიც გადავიდა „სამხედრო საზოგადოებათა“ ხელში. შემდეგში ამ საზოგადოებს მიეცა მონოპოლური ხასიათი. ზოგი ასეთი საზოგადოება შეიქმნა უკვე ორსებულ საზოგადოებათა გადაკეთებით, ზოგი დაწესდა იძულებით. თუ დასაწყისში ისინი იყვნენ ნედლი მასალის მშოვნელი საზოგადოებანი, ფინანსების მიმცემი საზოგადოებანი და საქონლის გამანაწილებელი საზოგადოებანი. შემდეგში თანდათან ისინი გადაიქცინ მეურნეობის ცენტრალურ დაწესებულებად — „ინდუსტრიის ტეინად“. ესენი იყვნენ შერეული მეურნეული თვითმართველი ორგანოები, ინდუსტრიულ დარგში შექმნილი. ისინი იყვნენ სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფოს მონაწილეობა-დახმარებით შექმნილი გეგმიანი, დაგეგმული, მეურნეობის ორგანოები: — შექმნეს: ქვანახშირის სინდიკატი (1915 წ.). ცემენტის სინდიკატი (1917 წ.) და სხვა. კანონის ძალით შექმნეს აგრეთვე ფეხსაცმელების სინდიკატი და საპონის ინდუსტრიის სინდიკატი. ეს სამეურნეო პოლიტიკა წარმოების პირდაპირ დარგში იჭრებოდა. — აწესებდა წარმოების ნორმებს, ფასებსა და მოგებას.

როგორც მოვიხსენიეთ, ასევე იყო ხალხის გამოკვების მიზნით დაარსებული გამოკვების მეურნეობის ორგანო.

საქონლის ნორმალიზაცია, ტიპიზაცია და საშუალო ოდენობა — იყო გეგმიანი მეურნეობის საძირკველი.

ამ გეგმიანი ანუ დაგეგმული მეურნეობის სისტემას, რომელიც, როგორც აღვწერეთ, ომის მეურნეობას საფუძვლად დაედო, უწოდეს ბაზედრო სოციალიზმი, ომის მიზნებისათვის განსაზოგადოებული მეურნეობა (პლანვირტშავტ) — რომლის შესახებ ეხლაც, დღეს ბევრს ლა-

პარაკობენ გერმანიაში და ონამედროვე მკვეთრი ეკონომიური ზისის მოსასპობად მოუწოდებენ ამგვარი (არა სამხედრო, არამედ საეთოლდ, დაგეგმული) მეურნეობის სისტემის გადასვლისაკენ). ამ სამხედრო სოციალიზმა, ამ სამხედრო გეგმიანმა მეურნეობამ, საჯარო და კერძო ორგანიზაციების საშუალებით, შექმნა და აამზადვა ისეთი სისტემა, რომელმაც გერმანიას მისცა ძალა ოთხი წლის განმავლობაში უფლიდესი ომის მოთხოვნილებისათვის თითქმის გაეძლო.

ომის დროს იყსტო-უნგრეთმაც ისეთივე სამეურნეო პოლიტიკა აწარმოა. 1914 წ. დაარსებულ იქმნა ბამბის ცენტრალი. 1914 წ. ოკუმბერში დააარსეს მატყლის ცენტრალი. აგრეთვე ლითონების ცენტრალი. 1916 წ. შექმნეს ძონძების ცენტრალი. დაარსებულ იქმნა ტყავის ცენტრალური ორგანო. ნავთის ცენტრალი და საეთოდ შექმნეს 16 ცენტრალური ნედლი მასალის ცენტრალური მეურნეობა. რაც შეეხება სასოფლო მეურნეობას, აქაც იმგვარივე პოლიტიკას ატარებდენ როგორც გერმანიაში. დაარსებულ იქმნა ცეზ-ი პურის, ხორცის, კართოფილის, შაქრის, მწვანეულობის და სხვა და სხვა.

თითქმის ყველა მეომარი სახელმწიფო (გარდა ამერიკის შეერთებულ შტატებისა, სადაც თავისუფალი კერძო საკუთრების მეურნეობა დარჩა) იძულებული გახდა სახელმწიფო სამხედრო მეურნეობის პოლიტიკა ეწარმოებია. სახელმწიფო შეიქმნა მატარებელი ომის სამეურნეო პოლიტიკისა, ეს სულ ერთია, თვით სახელმწიფო ეწარმოებდა ამ პოლიტიკას თავისი საკუთარი ორგანოებით, თუ კერძო მეურნული ორგანიზაციების შემწეობით. სახელმწიფო სამეურნეო პოლიტიკის საშუალებანი თითქმის ყველგან ერთგვარი იყვნენ: რის განმავლობაში ისინი თანდათანობით უფრო სისტემატიური და დაუზოგველი შეიქმნენ. არასოდეს უწინ — მეურნეობა არ იყო ისეთი, ყველას მიერ აღიარებული სასტიკი იარაღი პოლიტიკური და სამხედრო მოწინააღმდეგის მიმართ. როგორც ამ მმში და არასოდეს მას არ მიუყენებია ისეთი ჭრილობები მსოფლიოსათვის, როგორც ამ მმში.

მსოფლიო მეურნეობის შერყევა და არევა მოხდა არსებულ მიწოდება-მოთხოვნილების მოსპობით. ომმა გამოიწვიამ ისთვის საჭირო წარმოების უზარმაზარი გაზრდა; ეს ეხება განსაკუთრებით ომის მთავარ მასალას: ქვანახშირი, რკინა, ფოლადი, გემები, ქიმიური წარმოებანი. ტყავი, ქსოვილები (ტექსტილი) და სხვა. და ვინაიდან ბევრ მეომარ სახელმწიფოს ეს მასალები დამაკმაყოფილებელი ოდენობით არ გააჩნდა, —

ამიტომ მათი წარმოება და მოპოება გაიზარდა არა მეომარ სახელ-
მწიფოებში , და ამგვარად. მრეწველობამ ადგილი (სტანდორტი) გამო-
იცვალა, სხვა, არა მეომარ ქვეყნებში გადავიდა. ამნაირად, ომის გამო
ევროპამ დაჰკარგა საექსპორტო ძალა. ზღვის გაღმა ქვეყნები: ჩინეთი,
იაპონია, ინდოეთი, სამხრეთი ამერიკის ქვეყნები, სამხრეთი აფრიკა, კა-
ნადა თუმთ გახდენ ეხლა სამრეწველო ქვეყნები. რკინის მრეწველობა
და ქიმიური ინდუსტრია, შუშისა და ოპტიკური ინდუსტრია, ტექსტი-
ლური და გემთ-მშენებლობა: ეს დარგები. ორმელნიც ევროპისათვის
თითქმის მონოპოლური იყვნენ. განვითარდენ ევროპის გარეშეც. ომის
დროს, ევროპიდან ექსპორტს მოკლებული ქვეყნები თვით შეუდგენ თა-
ვისი საკუთარი წარმოების მოწყობას და გაზრდა-განვითარებას. ინდო-
ეთში განვითარდა ძლიერად ბამბის, ფოლადის, რკინის, ტყავის და საკ-
ვების ინდუსტრია; ტექსტილური ინდუსტრია განვითარდა ინდოეთში,
იაპონიაში, ჩინეთში სამხრეთ ამერიკაში; სამხრეთ აფრიკაში განვითარ-
და ფოლადისა და რკინის ინდუსტრია; ავსტრალიაში — ტექსტილური,
ცემენტის, შუშის, ქალალდის, მავთულის და რკინის ინდუსტრია; შვე-
ციაში და ისპანეთში — რკინისა და ფოლადის ; ქანადაში და ფინლან-
დიაში — ქალალდისა და ტყის ინდუსტრია.

სასოფლო სამეურნეო დარგი უმწვერვალესად განვითარდა ომის მო-
თხოვნილებათა გამო სამხრეთ ამერიკაში. საზღვაო სავაჭრო გზები გა-
მოიცვალა. ვალებმა იცვალეს ალაგი, ევროპის ოქრო წავიდა ამერიკა-
ში. ინტერნაციონალური კაპიტალის მოძრაობა მიიმართა არა მეომარ
სახელმწიფოსაკენ და ამერიკისაკენ და სხვა და სხვა მნიშვნელოვანი
მეურნული მოვლენა, რაც ომის ნაყოფად ევროპას მძიმე ტვირთად უა-
წვა და რომლის შედევებს დღეს განიცდის ეს კონტინენტი.

შევარდნი პარიზი

პარიზის ქართველ ახალგაზრდობის ცხოვრებაში „შევარდნენ“-მა უკვე მოიპოვა მკვიდრი აღგილი. ყოველდღიურად იზრდება მის წევრთა რიცხვი, რომელიც დღლებს უახლოვდება 90-ს. თუ გავითვალისწინებთ, რა ძნელ პირობებში უხდება მუშაობა ეხლანდელ ახალგაზრდობას, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, თუ რამდენი დაბრკოლებანი შეხვდა გზაზე „შევარდნენ“-ს მისი განვითარებისა და არსებობის საქმეში, უნდა აღვიაროთ, რომ „შევარდნი“ შეუდრეველად ისწრაფის წინ და საეჭვია, მისი შეჩერება ან მოღონება.



რას ემსახურება „შევარდნი“ — ეს ყველა ქართველმა იცის, ეს ათავისათვის საკემათო დღარი არის. ქართული საქმის პროპაგანდა უცხოეთში, ქართველი ახალგაზრდების გაჯანსაღება, ერისათვის მათი შენარჩუნება — აი მთავარი ხაზი „შევარდნის“ არსებობასა. ამისთვის ხელს

უნდა უწყობდეს „შევარდენს“ ყოველი შეგნებული ქართველი; ამის თვის ყოველი ახალგაზრდის ადგილია „შევარდენ“-ში

ამ უამაღ „შევარდენს“ მოწყობილი აქვს რამოდენიმე გუნდი: ფეხბურთის, კალათბურთის, მსუბუქი მძლეოსნობის, ტანკარჯიშობის, ჩოგბურთის (ტენისი). მის განკარგულებაშია მშვენიერი მოედანი, თითქმის თვით პარიზში და ზამთრისათვის უცვე დაქირავებული აქვს დარბაზი. კვირაში ერთხელ (შაბათს მთელ ნაშუადლევს) ამ მოედანზე თავს იყრის ქართველი ახალგაზრდობა და გატაცებით ვარჯიშობს.

ფეხბურთის გუნდმა მაის-ივნისში მონაწილეობა მიიღო სამ „ტურნუა“-ში. სამივეში საკმარისად კარგი ადგილი დაიჭირა და ეხლა პარიზშის და მისი მიდამოების ფრანგული გუნდები კარგად იცნობენ ჩვეოს ფეხბურთელებს.



ერთი თვის წინად საზოგადოების გამგეობაშ მოაწყო შინაურულა (თავისი წევრების) შეჯიბრი. რამაც ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად სერიოზულად უყურებენ წევრები „შევარდენის“ არსებობას და რა ბილეჭების მიღებაა მოსალოდნელი სულ ახლო მომავალში.

„შევარდენის“ გამგეობა წევლაც, ისევე როგორც შარშან, აპირებდა მოაწყო ქართული კოლონისათვის საზეიმო გამოსვლა. მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა დღემდე. როგორც გავიგეთ, ასეთ

გამოსვლას მოაწყობენ შემოდგომაზე და სრული დარწმუნებული ვართობის ქართული საზოგადოება არ გაცრუვდება თავის მოლოდინში.

ვუსურვებთ „შევარდენს“ წინსვლას და ქართული სპორტის დროშის



მაღლა დაჭერას ჩვენი ერის სასახელოდ.

ქართველნო! დაეხმარეთ „შევარდენს“!

ახალგაზრდებო! ჩაეწერეთ მის რიგებში!

ძველი შევარდნელი

მისამართი მოხსენების გამო

ქართველ მხედართა ცხოვრებაში მოხდა ერთი აღსანიშნავი და უსა-
ფული მნიშვნელოვანი მოვლენა. ქართველ იუნკერთა კავშირს გადა-
უწყვეტია მოაწყოს მთელი რიგი მოხსენებათა სამხედრო საკითხებზე.

ეს გადაწყვეტილება სისრულეში იქმნა მოყვანილი. ივლისის 23-ს
გაიმართა ლეიტ. მიხეილ დადიანის მოხსენება შემდეგ ოქმაზე: „ბრძო-
ლები ქალაქ ვარშავასთან 1920 წ.“.

სამხედრო ხასიათის მოხსენებები იშვიათად იმართება და შიო უფრო
საინტერესოდ და დროულად მიგვაჩნდა ქართველი მხედრებისათვის ამ
მოხსენების გამართვა. ჩვენი შენდობა, სამწუხაროდ, ვერ ადევნებს
თვალყურს სამხედრო მეცნიერების განვითარებას, წინსვლას. ცხოვრე-
ბამ, მასთან ბრძოლამ დაიპყრო მთელი ჩვენი აზრი, შეისვა მთელი ჩვე-
ნი ენერგია. და ცალდია, ფიზიკურად მოქანცულ ადამიანს არც მოეთხო-
ვება ამ მხრივ ბევრი რამ.

ასეთ მდგომარეობაში აუცილებელი გახდა, რათა ეთავა ვინმეს სამ-
ხედრო ლექციების მოწყობა. ამ საქმეშიც ჩვენმა იუნკერებმა გამოიჩი-
ნეს თაოსნობა. ვამბობთ „ამ საქმეშიც“, რადგან არ შეიძლება დუმი-
ლით გავიაროთ ქართველ იუნკერთა კავშირის მიერ წარმოებული საქ-
მიანობის წინ. ემიგრაციაში მათ დაარსეს, და შეუპოვრად განაგრძო-
ბენ გამოცემას. ქართული სამხედრო ჟურნალისას: „მხედარი“. ეს დიდი
ღვაწლია ქართულ სამხედრო ისტორიაში. შეიძლება გადაჭრით ითქვას;
რომ ქართულ ენაზე არ არსებოდა სამხედრო მნიშვნელობის პერიოდუ-
ლი გამოცემა. ჟურნალის გამოცემა ჩვენს პირობებში ძალიან ძნელი წა-
მოწყებაა და მრავალი დაბრკოლებაა გადასალახი. იუნკერთა კავშირი,
მიუხედავად ყოველივე სიძნეელისა, მიჰყება დასახულ მიზანს და ან-
ხორციელებს მას.

იუნკერთა კავშირს არ დაუტოვებია უყურადღებოდ არც ჩვენი ახალ-
გაზრდობა. მფარველობას უწევს და ეხმარება ყოველნაირად პარიზში
არსებულ ქართულ სპორტიულ საზოგადოება „შევარდენს“. ზედმეტად
მიგვაჩნია შევჩერდეთ ამ საზოგადოების მნიშვნელობაზე. ვიტყვით

მხოლოდ რომ ეს დიდი ქართული საქმეა, ეროვნული მნიშვნელობის.

არაუგრს ვიტყვით იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანაა თვით იუნკრები-სათვის მათი კავშირის არსებობა და რამდენი დახმარება, მრავალი სახის, აღმოჩენილ იქმნა მათი ორგანიზაციის წევრებისათვის. ეს ფაქტი აღსანიშნავია, როგორც იშვიათი მოვლენა ქართულ ცხოვრებაში.

და თუ მიუდგომლად დავაფისებთ ქართველ იუნკერთა კავშირის ამ საქმიანობას, უნდა აღვიაროთ, რომ მათ ჰქონიათ სურვილი მუშაბის, რომ მათ ამ მუშაობისათვის ამოძრავებს ის დიდი ქართული პატრიოტული სული, სული, რომელმაც შეინახა დღემდე საქართველო და ქართველი ერი. ეს პატრიოტული სული საკვირვლად გამოსჭვივის საქართველოს პირველ სამხედრო სკოლის იუნკრებში. მთელმა მათთა არსებობამ და მოქმედებამ (საქართველოს ომებში, ემიგრაციაში) ხაზი გაუსვა ამ გრძნობას. და ჩვენ, ყოველივე ამის შემხება და შემგრძნობთ, იმედი გვეღვიძება, და კიდეც გვიპყრობს ეს იმედი ერის მომავალისათვის, თუ რომ ქართველი ახალგაზრდობის მეტი ნაწილი იწვის იმავე სულით, როგორც ჩვენი იუნკრები...

ეხლა შევეხოთ თვით მოხსენებას.

არ შევეცდებით პოლონეთ-რუსეთის ომის განხილვა-განმარტებას, არამედ გვსურს გამოვსთქვათ ჩვენი შთაბეჭდილებანი ლეიტ. მიხეილ დადიანის მოხსენებაზე.

ეს იყო იუნკერთა კავშირის მიერ განზრახულ მთელ რიგ მოხსენებათა შორის პირველი. ამისათვის იყო. რომ ეგრე მოუთმებლად მოველოდით დანიშნულ დღეს, ვინაიდან ამის შემდეგ შეგვეძლო მხოლოდ დასკვნის გამოტანა შომავალ მოხსენებათა ხასიათის შესახებ. უნდა ვაღიაროთ. რომ ოდნავ შეშიც გვიპყრობდა: ვათ თუ ახალგაზრდა ოფიციერება ვერ დასძლიოს ასეთი ძნელი თემა, როგორიცაა ქ. ვარშავასთან მომხდარ ბრძოლათა ოპერაციები. მაგრამ თამამად ვიტყვით, რომ შეში გაიფანტა და მომხსენებელი გამარჯვებული გამოვიდა ამ ძნელი ვა-მოცდიდან.

საკითხის სისტემატიური დამუშავებით, გულდასმითი და საგნისალ-მი სიყვარულით მოპყრობამ მსმენელებზე დასტოვა საუკეთესო შთაბეჭდილება. მშვენიერი ქართული, მრავალი სამხედრო ტერმინების გადმოქართულებით, საუკეთესოდ უწყობდა ხელს, და თვით დამსწოეო არ ეტყობოდათ ყურადღების ოდნავი შესუსტება მოხსენების. მიელ სიგრძეზე

ბევრი რამ ახალი გავიგეთ პოლონეთ-საბჭოების ომიდან. ამ ომისაშე უკავშირო გადამწყვეტი ფაზები, რომელთაც უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდათ პოლონეთის დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნებაში, ლეიტ. მიხ. დადიანმა გადმოვცა მათი დეტალური განხილვით. გაშუქებული და გაძლიერებული იქმნა სამხედრო-პოლიტიკური ცნობებით, დირექტივებით. ბრძანებებით, ოპერაციების ნახაზებით და მონაწილეთა რიცხობრივი აღნიშვნით.

ძნელი იყო მომხსენებელისათვის ორი საათის განმავლობაში ჩვენ წინ გადაეშალა პოლონეთ-საბჭოების ომის მთელი სურათი. მხოლოდ ის, რაც მან გადავვიშალა, ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ასეთი მოხსენებების მოწყობა ჩვენ უსათუოდ გვესაჭიროება.

გათავდა მოხსენება. რა შთაბეჭდილება დაგვრჩა მსმენელებს? ყველას რაღაც გაგვახსენდა და ყველას აზრი რაღაც მოგონებაში შეიპყრო. ეს იყო საქართველო-საბჭოების ომი. ეს ტფილისთან, ჩვენ დედაქალაქთან, პრძოლები მოგვაგონდა. საქართველო ხომ საბჭოების მსხვერპლი გახდა და საქართველოს ბედი ხომ ტფილისმა გადასწყვიტა! ? ამისათვის იყო. რომ ყველას ნათლად წარმოუდგა, თუ რა ბედი ეწვეოდა პოლონელ ერს, ვარშავა რომ არ გადაერჩინათ. ჩვენთვის, ქართველებისთვის, შესწავლის ღირსია პოლონეთ-საბჭოების ომი. რათა დავინახოთ, თუ რა დიდი დაკტორია სახელმწიფოს არსებობაში ეროვნული ფანატიზმი და ერის თავგანწირვა. ეს ომი მოიგო არა მარტო პოლონურმა ჯარმა, არა მედ მთელმა ერმა. ყველა ფენების(განურჩევლად) თავდადებამ და თანამშრომლობამ.

ჩვენის აზრით, ლეიტ. მიხეილ დადიანმა თავისი მოხსენებით ორ მიზანს მიაღწია. პირველია, წმინდა სამხედრო თვალსაზრისით ოპერაციების განხილვა და შეფასება. მეორე კი ერის უაღრესი თავგანწირვის დახასიათება. მომხსენებელმა საქსებით შესძლო ამ ორი მხარის გამუქება და დაკავშირება და კიდევაც დაიმსახურა მსმენელთა მხურვალე მაღლობა და ტაში.

სასურველია, ქართველი მხედრობა მოექცეს ყურადღებით იუნკერთა კავშირის მუშაობას და ყოველნაირად დაეხმაროს მას (გამოცდილებით, რჩევებით .თანამშრომლობით). ეჭვს გარეშეა, პოლონეთის და საფრანგეთის ჯარში მყოფნი ქართველი მხედრები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ასეთ საქმიანობაში, მით უმეტეს. რომ მათი მდგომარეობა და პირობები შესანიშნავად უწყობს მათ ხელს ამისათვის.

მოსალოდნელია, რომ ამ გზით მუშაობა, საზღვარგარედ მყოფ ქონი თვეელი მხედრების თანამშრომლობა, იქნება განსახიერება ძველი ქართული სამხედრო ძლიერების, რაც თავის როლს ითამაშებს ქართული ჯარის შექმნაში, და შეიტანს თავის წვლილს ერის ფიზიკურად დაცვის საქმეში.

ლენერალი ივ. ჯაფარიძე

პარიზი

1863 წლის პოლონეთის აჯანყება

იოსებ პილუშიძეს იანვრის აჯანყების მიღიტარული ისტორია ს მიმოხილვა. (1863 წლის პოლონეთის აჯანყება). თარგმანი ვ-ს მიერ.
პარიზი. 1931 წ.

აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ათ მოხსენებას, რომელიც 1912 წ. იოსებ პილუშიძეს წაუკითხავს კრაკოვის საზოგადოებრიო-პოლოტია-კურ შეცნიერებათა კურსებზე. ეს იყო კერა. სადაც პოლონელი ახალგაზრდა პატრიოტები სამხედრო საქმეს სწავლობდენ და პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის ემზადებოდენ. სამშობლოს ისტორია, პოლონეთის ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის — ი საკითხი, რომლითაც პატრიოტთა ხელმძღვანელი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო.: წარსულის გაკვეთილის. ჩადენილ შეცდომათა შესწავლა და მომავალში მათი თავიდან აცილება — ესაა პილუშიძის მოხსენებათა დანიშნულება. რომელიც მაშინ არსებულ ისტორიულ მასალათა მიხედვით სათანადოთ არის დამუშავებული.

პირველ მოხსენებაში ავტორი არჩევს იმ უმთავრეს წყაროებს, რომლითაც მან ისარგებლა და აღნიშნავს, რომ აჯანყების მიღიტარული დარგის შესახებ უფრო ნაკლები მასალაა, ვინაიდან 1863 წელს აჯანყებაში დამარცხებული პოლონური საზოგადოება ნაკლებ ინტერესს

იჩენდა ამ საკითხისადმი ანუ ოოგორც ავტორი ამბობს: „ყოველივე რაც დაკავშირებული იყო შეიარაღებულ ბრძოლასთან, საზოგადოების მიერ უკუგდებულ იქმნა“ - ა. ეს. ასე ვსთვეათ, ბუნებრივი მოვლენაა.

ავტორი შემდეგ ეხება პოლონეთის მდგომარეობას 60-ან წლებში და მოკლედ ახასიათებს აჯანყების წინ შექმნილ ვითარებას:

რუსეთის საზოგადოების ლიბერალური ნაწილი პოლონეთის საკითხს სიმპატიით უყურებდა და საერთო გატაცება რევოლუციური სულია; პოლონური საზოგადოების ბრძოლას ფრთხებს ასხამდა.

როდესაც აჯანყებამდე, პოლონელები ქუჩებში პატრიოტულ მანიფესტაციებს აწყობდენ, — რუსეთის მთავრობა გადამჭრელ ზომებს არ ღებულობდა, — და პოლონეთის ეროვნულმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობის სახელმძღვანელოდ შექმნილ იქმნა 1862 წ. „ცენტრალური ეროვნული კომიტეტი“, რომელიც შეუდგა სამხედრო ორგანიზაციების მოწყობასა და აჯანყებისათვის მზადებას. შეთქმულთა (შეფიცულთა) ორგანიზაციები ფართოდ ვრცელდებოდა პოლონეთში. ხოლო იარაღის შეძენისათვის მიღებულ იქმნა სპეციალური ზომები საზღვარგარედ, მაგრამ, რასაკვირველია, აჯანყება ტეხნიკურად საქმაოდ მომზადებული არ შეიქმნა. ხალხი სამხედრო ოვალსაზრისით დამაკმაყოფილებლად არ იყო გაშროვნილი, იარაღის სიმცირე მეტად დამაბრკვლებელი იყო და სამხედრო, უფროსი თუ უცროსი, ხელმძღვანელები, თავის სიმაღლეზე არ იდგნენ; იყო შემთხვევა, როდესაც თავის საბრძოლო პუნქტზე ხელმძღვანელები მხოლოდ რამდენიმე დღის წინ მიღიოდენ აჯანყების დაწყებამდე და ამგვარად აღიიღობრივ პირობებს ვკარებოდნენ.

ვინ შეადგენდა შეთქმულთა რაზმებს? · ქალაქის მცხოვრებნი, ინტელიგენცია, მუშები და გლეხობის ნაწილი. პატრიოტულად განწყობალურებები დაირაზმენ და აჯანყდენ რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

· აგრძორი პრჩევს სამხედრო ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილ კტეზე მებს აჯანყებისათვის. ეს გეგმანი მეტად საინტერესო არიან, განსაკუთრებით ეხლა ჩვენთვის. როცა ჩვენ უკვე გავიარეთ ერთი დამაბრკვებული აჯანყება და მსურველ მკითხველს დაწვრილებითი ცნობებისათვის თვით აშ. აქ პრინცნულ წიგნზე მივუთითებთ.

· აჯანყებამდე შედგენილ იქმნა პოლონური ეროვნული მთავრობა და 1863 წლის იანვრის 22-ს აჯანყება დაიწყო.

აჯანყების დაწყება მოულოდნელი იყო არამც თუ მარტო რუსეთის მთავრობისათვის, არამედ თვით ხალხისათვისაც. მაგრამ აჯანყებას თავშივე მოუხდა ისეთი მარცხი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მის დამარცხებაში. —

„მთელი ქვეყნა საბრძოლველად აღგა; გარდა პირველი თოფი, და მთავარი სიცოცხლის ცენტრი, სადაც რევოლუცია სდულდა და სადაც ის მომზადდა, სამხედრო თვალსაზრისით, ეს მთავარი ცენტრი კი სდუძლდა. ვარშავაში არაფერი მომხდარა. იქ ბრძოლა არ იყო. „...

„როგორც ვარშავა იყო დავიწყებული, რის გამოც მან ვერ ითამაშა დიდი როლი მოძრაობაში, აგრეთვე დავიწყებული იყო კრულევსტვოს სხვა სამხედრო ცენტრებიც. გარდა პლოკისა... ამან კი რუსეთის მთავრობას და ჯარს მისცა საშუალება ამ სამხედრო ცენტრებში შეეგროვებინათ თადარიგი, რომელიც შესაფერ მოქმედებაში. გამოსაყენებლად ყოველ წუთს მზად იყო. „...

როგორ გვაგონებს ჩვენ ეს ამბავი ამგვარსავე მოვლენას საქართველოს აჯანყების ისტორიიდან! საერთოდ პოლონეთის 1863 წლის აჯანყების მსვლელობაში ბევრ ისეთ მოვლენას აქვს ადგილი, რაც საქართველოს აჯანყებაში 1924 წელს განმეორდა. — ამ ორ აჯანყებათა ეს ზოგადი მოვლენანი. საერთოდ, აჯანყებათა დამახასიათებელ ნიშანი უნდა ჩითვალოს.

პოლონელ აჯანყებულთა ნაწილები თავს დასხენებ 22 იანვარს რუსეთის ჯარის ნაწილებს და ყველა თავდასხმიდან რვა გამარჯვებით დასრულდა; ოთხი დამარცხდა: აღსანიშნავია აგრეთვე 14 ადგილი, სადაც აჯანყებულნი შეიკრიბენ, მაგრამ თავდასხმა ვერ მოახდინეს, და ბოლოს 7 თავდასხმა, რომელიც ნახევრ ად გამარჯვებულად შეიძლება ჩაითვალოს. აჯანყებულებმა მიაღწიეს სრულ მორალურ გამარჯვებას, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩდა. — და ამ დღიდან იწყება სამხედრო ოპერაციები რუსეთის ჯარებსა და პოლონელ აჯანყებულთა შორის, ბრძოლანი და შეტაკებანი. რომელთაც დიდი აღტყინება გამოიწვიოს მაჯლაჯუნა რუსეთის მოწინააღმდეგეთა შორის.

ავტორი დაწვრილებითა და კრიტიკულად აჩხეს ამ სამხედრო ოპერაციებს და ფეხდაფეხ მისდევს ბრძოლის განვითარებას. ეს ბრძოლა დასრულდა აჯანყების დამარცხებით. პოლონეთის აჯანყება სისხლში იქმნა ჩახმატილი.

პოლონეთის საზოგადოების იმედი, რომ რუსეთში რევოლუცია მო-

ხდებოდა, როგორც ამას თვით რუსი რევოლუციონერები და ლიბერალები მოელოდენ, არ გამართლდა. არ გამართლდა არც იმედი ევროპის ჩარევაზე; ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკა (და ისიც მხოლოდ ზოგიერთის) ცარიელ სიმპატიას არ გასცილებია. და პოლონელთა ძალა კი რუსეთის ძალასთან შედარებით მეტად მცირე იყო რომ გამარჯვებისათვის მიეღწია. მაგრამ ერთი კია, როგორც თვით ავტორი ამბობს: —

„ტყუილადა არ დავხოცილვართ და დეე, ჩვენი სიკვდილი თქვენთვის გამოცდილებად ყოფილიყოს...“ და ამ გამოცდილებით პოლონეთმა მართლაც ისარგებლა შემდეგში...

მარშალ იოსებ პილსუდსკის ეს წიგნი შეიცავს 91 გვერდს; თანდართული აქვს პოლონეთის სამხედრო ოპერაციების კარტა და თვით მარშალის სურათი.

წიგნი შვენივრად არის გამოცემული და სასურველია, რომ ქართველი მკითხველი მას გაეცნობოდეს. მთარგმნელს კი ჩვენ მაღლობა უნდა ვუძლვნათ გაწეული შრომისათვის, რადგან ქართულ ენაზე არ მოიპოვდა ასეთი საინტერესო შრომა საერთოდ პოლონეთისა და კერძოდ მისი აჯანყების შესახებ.

ბ. ვარდანი

შიდაარსი:

გვ.

რედაქციისაგან	3
† კაპიტანი დავით მაჭავარიანი	6
ეკონომიური ძალების მნიშვნელობა ომიანობისათვის — — ბი—ნა ქუ — ძე	9
ცხენოსანი ჯარი მომავალ ომში — მ. დ—ნი	17
არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება თანამედროვე ბრძოლაში. 8. არტილერიის საინფორმაციო სამსახური — ლ. მ.	22
მოკლე განხილვა საქართველოს შედრობისა 1089 — 1222 წლამდე (დისასრული) — თ. თათარ ყან დაღიშკელიანი	28
ომი და მეურნეობა („სამხედრო სოციალიზმი“) —	39
„შევარდენი“ პარიზში — ძველი შევარდნელი	53
ერთი მოხსენების გამო — ლენერალი ივ. ჯაფარიძე	56
1863 წლის პოლონეთის აჯანყება — ბ. ვარდანი	59

„მხედარი“-ს მისამართი:

Mkedari. 47. Rue Chardon Lagache — Paris, XVI^e



Imp. BASILE. 4, villa Chauvelot — Paris 15^e